პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მესამე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალურ და თბილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო.

რედაქცია: ტფილისი, კრუზენ. ქ. № 4. მე-3 სართული

მთავარი კანტორა: ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24 მე-2 სართული ტელეფ. 5—48

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე

ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76. მდივნის 10—58

წლის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 230.000 მ. სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში 1200 მ. 1922 წ. ნიშნებით განცხადება—30 ათ. მ. ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 1 მილ. მ.

№ 41 ხუთშაბათი, 22 თებერვალი 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 10 000 მან. № 41

დღიური

ოსმალეთში ერზინჯანსა და ხარპუთს შორის [illegible] ბა, რკინისგზის გასაყვანათ.

ფრაკიაში აჯანყება გრძელდება.

რურში გრძელდება შეტაკებები მცხოვრებლებსა და საფრანგეთის ჯარებს შორის. გელზენკირხენში რეიხსბანკის მოხამსახურეთა გაფიცვა. გაფიცვა დიუსელდორფში.

საფრანგეთში გატანილია მხოლოდ 1026 ვაგონი ნახშირი.

ინგლისის კომპარტიის ცეკას პლენუმის სხდომა.

საქართველოს, საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის მუშა-ქალებო, მუშებო და გლეხებო

23, 24 და 25 თებერვლის დღეები უნდა აღინიშნოს მუშურ-გლეხურ სახელმწიფოში დიდ ბრწყინვალე და სულის ამტაცებელ დღესასწაულებად.

23 თებერვალს 1918 წელს გამოიცა **რ. ს. ფ. ს. რ-ის** მთავრობის მიერ დეკრეტი, რომლის ძალით შესდგა და აღორძინდა ძლიერი ჯარი, წითელი არმია—საბჭოთა ქვეყნის დამცველი.

მან განვლო მთელი ყოფილი ვეება რუსეთის იმპერია თავისი სიგრძე-სიგანით, შეუწყვეტელი ბრძოლით ორ-სამ წელს—1918, 1919 და 1920—შინაურ კონტრ-რევოლიუციონურ ძველი მემამულეებისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ, რომელთაც მხარს უჭერდა, ეხმარებოდა ყოველგვარი თავისი ძალებით—ტეხნიკურად, ფულით და ჯარებითაც კი, საერთაშორისო ბურჟუაზია-იმპერიალისტები: იაპონიისა, ამერიკისა და უფრო მეტად კიდევ ინგლის-საფრანგეთისა. მათ ზურგს უმაგრებდა და გზას უკაფავდა თეთრი ტერორისტული აქტებით ესერების პარტია და, რასაკვირველია, იდეურათ და, თუ გამბედაობა შესწევდა, ეშველებოდა და ეშველება დღესაც მენშევიკების პარტია, ყვითელი „ინტერნაციონალი"...

ყოველივე ამ საძაგელ კონტრ-რევოლიუციას და სამოქალაქო ბრძოლას ბოლო მოუღო დღეს შარავანდედით მოსილმა წითელმა არმიამ, რომელიც უკვე გახდა ჯარი საერთაშორისო პროლეტარიატისა, საერთაშორისო რევოლიუციისა, მისი უდიდესი შტაბის—კომინტერნის,—მესამე—ინტერნაციონალის.

გაუმარჯოს მას, გაუმარჯოს სახელოვან წითელ არმიას. მას მომავალშიაც ისე დიდებულად აესრულებინოს თავისი საერთაშორისო პროლეტარული მოვალეობა, როგორც აქამდე შესძლო მან...

ის მიეშველა 1920 და 1921 წლ. აზერბეიჯანს, სომხეთსა და ბოლოს საქართველოს, რომ განთავისუფლებულიყვნენ ეს მოძმე მეზობელი მუშურ-გლეხური ქვეყნები საერთაშორისო იმპერიალისტების უღლიდან, რომლის დამქაშები, თითოეულ ამ ქვეყნებში მანამდე ბატონობდენ, როგორც მაგალითად, პირველში—აზერბეიჯანში—მუსსავატისტები, მეორეში—სომხეთში—დაშნაკები და მესამეში—ჩვენს საქართველოში—ხალხისა და რევოლიუციის მოღალატენი—ჩვენებური მენშევიკები—ჟორდანია, წერეთელი, ჩხენკელი, ჩხეიძეები...

ეს უკანასკნელნი განდევნა ხალხმა წითელი ჯარის შემწეობით თბილისიდან 25 თებერვალს 1921 წლ. და შემდეგ მისდია კვალ-და-კვალ მათ ბათომამდე და გაუძახა მათ შავ ზღვისაკენ შეერთებულიყვნენ თავის ხაზეინებს საფრანგეთის და საზოგადოთ ანტანტის იმპერიალისტებს, რომლების ლუკმებით და დაქირავებულ, ჩვენი ქვეყნის გამცემ-გამყიდველებად ისინი, ცნობილი ჩხენკელ-ჟორდანია-წერეთელი-გეგეჭკორი-ჩხეიძე-რამიშვილები დღესაც გამოდიან ტყის ბანდიტებთან ერთად და გვიშლიან მშვიდობიან შრომას. ქვეყნის მათ მიერ დანგრეულ მეურნეობისა და წარმოების აღდგენას...

ძირს ეს გამცემლები, შორს ჩვენგან საზიზღარი მოღალატენი, ყვითელი და ყოფილი სოციალისტები-იუდები!..

ამხანაგო მუშებო, მუშა-ქალებო და სოფლის გლეხ-კაცებო! 25 თებერვალი თქვენმა უმაღლესმა საბჭოთა მთავრობამ, სრულიად საქართველოს ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა აღიარა ჯერ შარშანვე დიდ დღესასწაულად, როგორც იმპერიალისტებისა და მოღალატე მენშევიკებისაგან ჩვენი ქვეყნის განთავისუფლების დღე... ამ დღიდან თავისუფლათ ამოისუნთქა თბილისმა და მთელმა საქართველომ... ძმებმა-მეზობლებმა-სომეხ-მუსულმან-ქართველებმა წინანდელ შოვინიზმისა და მუდმივ შეტაკების მაგიერ ჩამოაგდეს ძმობა და ერთად თანამშრომლობენ... **დღეს საქართველო, სომხეთი და აზერბეიჯანი ერთს ფედერატიულ სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკას წარმოადგენს**, სადაც თვითეული მათგანი სრულიად დამოუკიდებელია თავის შინაურ და კულტურულ განვითარების საქმეში...

მასთან ის, ამიერ-კავკასიის სხვა საბჭოთა რესპუბლიკებთან ერთად შედის დიდ კავშირში—ს. ს. ს. რ—ში, **საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირში**: ბელორუსიასა, უკრაინასა და თვით **რ. ს. ფ. ს. რ—სთან** ერთად.

მაშ, გაუმარჯოს ამ დიდებულ კავშირს—**საბჭოთა რესპუბლიკებისას**, ამ ძლიერეს ბანაკს მუშურ-გლეხურ ქვეყნისას...

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი მოგიწოდებთ. თქვენ, საბჭოთა ქვეყნების ამხანაგო მუშებო, მუშა-ქალებო და გლეხ-კაცებო. აგრეთვე ყველა პატიოსანო მოქალაქენო რომ ეს დღეები: თებერვლის 23, 24 და 25 აღნიშნოთ, როგორც დიდებული სადღესასწაულო დღენი ისე, როგორც ამას მოაწყობთ თქვენ სოფლისა და ქალაქის საბჭოებისა და მათი აღმასკომების შემწეობით და კომუნისტური პარტიის გეგმითა და ხელმძღვანელობით.

გაუმარჯოს თავისუფალ, კაპიტალიზმ-იმპერიალიზმისაგან ჭეშმარიტად დამოუკიდებელ **საბჭოთა სოციალისტურ საქართველოს, მჭიდროდ და ძმურად შეერთებულს ამიერ-კავკასიის ფედერატიულ-სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკასთან.**

გაუმარჯოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების დიდ კავშირს **ს. ფ. ს. რ—ს** და კომინტერნის მეთაურობით...

გაუმარჯოს თვით კომინტერნს, გაუმარჯოს საერთაშორისო რევოლიუციას. გაუმარჯოს წითელ ჯარს, წითელ არმიას, საქართველოს და კომინტერნისას ერთად განუყრელად...

გაუმარჯოს ჩვენს საერთო დღესასწაულს 23, 24 და 25 თებერვალის დღეებს.

სალამი თქვენ, შრომის შვილნო...

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
თავმჯდომარე **მიხ. ცხაკაია.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელ კომიტეტის
მდივანი **პ. საბაშვილი.**

ტფილისი—სასახლე.
1923 წ. 21 თებერვალს.

მენშევიზმიდან კომუნიზმისაკენ

რევოლიუცია დიდი მასწავლებელია. სისხლითა და რკინით წარმოებული მისი ძლევამოსილი მსვლელობა, გაკვეთილები მისი შეუჩერებელი პროცესის, მის მიერ ამოძრავებული მასების რევოლიუციონური შემოქმედება კომუნისტური პარტიის უშუალო გავლენითა და ხელმძღვანელობით წარმოადგენს თავისთავათ ისეთ სანახაობას, რომ მის წინაშე უკან იხევენ და ან არარაობათ იქცევიან საშუალო საზოგადოებრივ წრეების და მერყევ კლასების პარტიები და ჯგუფები. როგორც სწორეთ ასეთი სოციალურ-პოლიტიკური ბუნების მატარებელი, ამ გავლენას, ცხადია, ვერც მენშევიკური პარტია ასცდებოდა. და ჩვენ ვხედავთ უკანასკნელი წლების მანძილზე ზოგან მასიურს, ზოგან კი ჯგუფობრივ გადასვლას ამ პარტიიდან კომუნიზმისაკენ, ყოველ შემთხვევაში საბჭოთა რეჟიმის მომხრეთა ფართო რიგებისაკენ.

რუსეთის დიდ რევოლიუციაში, რომელიც მიმდინარეობს მსოფლიოს ახალ სოციალ-ეკონომიურ პირობებში, რამაც განსაკუთრებული დაღი დააჩინა მის მიზნებს, ძველი სოციალ-დემოკრატიული მენშევიკური პარტია შევიდა ფრიად მძლე პოლიტიკურ-იდეიური ავლადიდებით, იმ ავლადიდებით, რომელიც ვერ ასცილებოდა წარსული საუკუნის მეორმოცდაათე და სამოციან წლების ტრადიციებს. ახალ ისტორიულ გარემოებებში, როდესაც საბოლოოთ მომწიფდა ობიექტიური პირობები მეოთხე წოდების მიერ თავის ხელში სახელმწიფოებრივი ძალაუფლების ასაღებათ, როდესაც პროლეტარიატის დიქტატურის პრინციპი, ტაქტიკური ჰიპოტეზიდან, თუმცა მეცნიერულათ დასაბუთებული ჰიპოტეზიდან, ძირს დაეშვა, დღის წესრიგში დაისვა, სინამდვილეში ხორცის შესხმა იწყო და კიდევაც იქცა რეალურ ფაქტათ, სწორეთ ამ დროს უკან დაიხია პარტიამ, რომლის პოლიტიკურ მრწამსში სიტყვით მაინც ჰქონდა დათმობილი ადგილი ამ მომენტის აუცილებლობას, მის მაგიერ, რომ სოციალ-დემოკრატია ნებაყოფლობით მაინც გასცლოდა ისტორიულ ასპარეზს, ე. ი. ჩაედინა თვითმკვლელობა, როგორც სიტყვით მაღიარებელი მშრომელთა დიქტატურის, ის განაგრძობდა ბრძოლას პროლეტარიატის წინააღმდეგ მის მოსისხლე მტერთა ბანაკში და მით ფაქტიურათ მოკვდა რევოლიუციისთვის კიდევ უფრო საძაგელი სიკვდილით. ე. ი. როგორც გამცემი პროლეტარიატის.

ამ გარემოებას უნდა შეენძრია რევოლიუციონური სინდისი მენშევიზმის იმ წრეების, რომლებიც გამოხატავდნენ მისი პროლეტარული შემადგენლობის—რა რიგ მცირე-რიცხოვანი არ უნდა ყოფილიყო ის—ინტერესებს და მიზნებს. და ჩვენ მოწამენი შევიქენით უკანასკნელ წლებში, როგორც ზევით ვთქვით, წვრების მასიური და ჯგუფობრივი გამოსვლის ამ პარტიიდან. მაგრამ არც ერთს ამ გამოსვლებიდან არ გამოუწვევია ისეთი ხმაურობა, არც ერთი არ იქნა ისეთ გამანადგურებელ მნიშვნელობის მენშევიზმისათვის, როგორც მთელი სისტემისათვის, როგორიც არის ა. ს. მარტინოვის.

ჩვენი მკითხველებისათვის და ყველა მათთვის, ვინც იცნობს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ისტორიას, ის სახელი არ არის უცნობი. მარტინოვი რამდენიმე ათეული წელი მუშაობს ამ პარტიაში როგორც ერთი მის გამოჩენილ თეორეტიკოსთაგანი, მისი ერთ-ერთი დიდი ბელადი. არ ყოფილა არც ერთი საპასუხისმგებლო ლიტერატურულ-პოლიტიკური კამპანია მენშევიკურ პარტიაში, რომელთანაც მჭიდროთ და პირველ რიგში არ ყოფილიყო დაკავშირებული მისი სახელი. თუ მარტოვს შეგვიძლია დავარქვათ ნიჭიერი პუბლიცისტური გამომხატველი მენშევიზმის, მარტინოვზე შეიძლება ითქვას გადაუჭარბელათ, რომ ის იყო დამსახურებული „ფილოსოფოსი" ამ პარტიის ტაქტიკურ-პოლიტიკური პროგრამის. მით უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს დღეს მისი გამოსვლა ჟურნალ „კრასნია ნოვში", რომლის შესახებ გვითხრობენ მოსკოვის გაზეთები. ნაწილს ამ მასალებიდან მკითხველი გაეცნობა ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომრის მეორე წერილში.

რევოლიუციის გაკვეთილებმა და კომპარტიის პოზიციამ რუსეთში მომხდარ დიდ გადატრიალებაში მენშევიზმის ბელადი მიიყვანა მენშევიზმის ლიკვიდაციამდე. მარტინოვი სწყვეტს მთელ რიგ ძირითად კითხვებს რევოლიუციონური ტაქტიკისას შემდგარი ჩვენი პარტიის თალსაზრისზე. მისი გამოსვლა, როგორც მკითხველი დარწმუნდება, არის დადასტურება კომუნიზმის და კატეგორიული უარყოფა სოციალ-დემოკრატიის, მენშევიზმის. მკითხველი დაინახავს, რომ ერთი უდიდეს მოაზროვნეთაგანი მენშევიკური პარტიის, მოღვაწე, რომლის მხრებს უზიდავს თითქმის სამი ათეული წლის მანძილზე ტვირთი მენშევიზმის თეორეტიული აზროვნების, დღეს სწყდება ძველ ბანაკსა და ხელაღებით გადადის კომპარტიის პოზიციებზე. მენშევიზმის ორგანიზაციულ-პოლიტიკურ დაშლას ემატება ამით იდეიური დარღვევა და განადგურება.

ეჭვს გარეშეა მარტინოვის გამოსვლა გამოიწვევს დიდ აურზაურს როგორც რუსეთის, ისე საერთაშორისო მენშევიზმის რიგებში. „სოციალისტური უწყება", ორგანო მარტოვის, დანის და აბრამოვიჩის, მიაკრავს მას „რენეგატის" სახელს შუბლზე. მაგრამ ეს კომპანია ამით ოდნავათ ვერ დაფარავს იმ იდეიურ კატასტროფას, რომლის ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელია მენშევიზმის ყოფილი ბელადის დღევანდელი გამოსვლა.

მენშევიზმის ბელადი მენშევიზმის წინააღმდეგ

(ა. ს. მარტინოვის გამოსვლის გამო).

როგორც ზემოთაც ვსთქვით, ა. ს. მარტინოვმა მოათავსა ჟურნალ „კრასნია ნოვ"-ში წერილი სათაურით „კრაინაში მიღებული ჩემი შთაბეჭდილებანი და ნააზრევი", სადაც ის კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს მთელ ტრადიციულ ტაქტიკურ შეხედულებებს იმ პარტიისას, რომლის ერთი სულის ჩამდგმელთაგანი და ბელადი ის იყო რამოდენიმე ათეული წლების განმავლობაში **მარტოვთან დანთან** ერთად. ჩვენ ხელთ არა გვაქვს ჯერ-ჯერობით ჟურნალის ეს ნომერი. მიღებისთანავე საშუალებას მივცემთ ჩვენ მკითხველებს გაეცნონ აწვრილად საინტერესო დოკუმენტს, სადაც ავტორი ქარსა და ცეცხლს აძლევს თავის წარსულ მენშევიკურ შეხედულებებს. დღეს ვკმაყოფილდებით გამოვაქვეყნოთ მხოლოდ რამოდენიმე ადგილი აღნიშნული წერილისა, როგორც ეს მასალა მოყვანილია მოსკოვის გაზეთების უკანასკნელ ნომერში.

რედაქცია.

—

„ჩემი მენშევიკური შეხედულება დემოკრატიასა და დიქტატურაზე,—სწერს მარტინოვი,—რევოლიუციის ეპოქში არის შეხედულება მალინოვისკაბინეტური, უსიცოცხლო, დოქტრინერული".

ავტორი ვრცლად არჩევს მენშევების ჩვეულებრივ მოსაზრებებს კომუნისტური პარტიის ტაქტიკისა და პრაქტიკის შესახებ:

„ბოლშევიკურმა დიქტატურამ გააუქმა პარლამენტარიზმი. ბოლშევიკებმა არამც თუ დაშალეს დამფუძნებელი კრება მათ ოქტომბრის გადატრიალება შეგნებულად მოაწყვეს საბჭოთა ყრილობის წინ, ამგვარად დააყენეს „მომხდარი ფაქტის წინაშე, და თავიანთ უმნიშვნელოვანესი დეკრეტებიც კი გამოსცეს საბჭოთა ყრილობაზე ყოველი საფუძვლიანი განხილვის გარეშე.

„ყველაფერი მართალია. მაგრამ არის კი არა უმოძრაო პარლამენტარიზმ საკმაოდ ბასრი და გამოსადეგარი რევოლიუციის პირობებში როცა საჭიროა სწრაფი და გადაჭრილი მოქმედება, როცა ძვირფასია ათეული დღე, ყოველი საათი! აქვთუ არა რევოლიუციონურ პარტიას უფლება თავის ხელიდან გაუშვას ინიციატივა? უნდა მჯდარიყვნენ ბოლშევიკები გულზე ხელდაკრეფილი და ეცადათ, სანამ კრების ყრილობით არ გამოირკვეოდა, რომ უკანასკნელი გლეხიც პროვინციაში თანუგრძნობს მათ, როცა ისინი უკვე დარწმუნდნენ ოქტომბრის წინ, რომ მათ მხარეზეა პროლეტარიატი, რომ მათ მხარეზეა მოძრაობის ყველა მსხვილი ცენტრები—პეტროგრადი, მოსკოვი და სხ., რომ მათ მხარეზე არიან ჯარისკაცთა მასსები? განა ხდებოდა ასე რევოლიუცია ამ მსოფლიოში? უცდიდა პარიზი 1789 წელს, 1848 და 1871 წლებში, თუ რას იტყოდა პროვინცია, როცა რევოლიუციას იწყებდა? არა! ასჯერ მართალი იყო მარქსი რომელიც სწერდა 1848 წელში ფრანკფურტის პარლამენტის შესახებ: „ფრანკფურტის კრება გართულია სახლო ვარჯიშობით პარლამენტარიზმში და მთავრობას აძლევს მოქმედების საშუალებას. დავუშვათ, რომ მეცნიერთა კრებული მოახერხებს საფუძვლიანი განსჯის შემდეგ და საუკეთესო წესრიგის და საუკეთ კონსტიტუციის შემუშავებას. სარგებლობა ექნება საუკეთესო კონსტიტუციასაც, თუ გერმანიის მთავრობა ამ დროს დღის წესრიგში ხიშტს დააყენებს?"

„ამბობენ, რომ ბოლშევიკური დიქტატურა არის რეჟიმი უმცირესობის ძალადობისა უმრავლესობაზე. ეს მართალი არ არის. ბოლშევიკური დიქტატურა არის რეჟიმი მოსახლეობის რევოლიუციონურ კლასების და წრეების ძალადობისა არა-რევოლიუციონურ კლასებსა და წრეებზე საზოგადოების ფრიად მერყევ წონასწორობის პირობებში, როცა საერთოდ შეუძლებელია რევოლიუციონურ და კონტრ-რევოლიუციონურ ბანაკებ შორის რიცხვობრივი დამოკიდებულების სისწორით განსაზღვრა, როცა ეს დამოკიდებულება დღითი-დღე იცვლება და ირყევა. რაც შეეხება საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებულებას თავის რევოლიუციონურ ბანაკისადმი, პროლეტარიატისა და მცირე შეძლების მქონე გლეხობისადმი,—აქ ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ გამოიჩინა მაქსიმუმი დემოკრატიზმი, რა თქმა უნდა, არა პარლამენტარული, არამედ ნამდვილი: ის თავის საპასუხისმგებლო ნაბიჯების დროს ყოველთვის არ უცდიდა მასსების უკვე შეგნებულ და ჩამოყალიბებულ ნებისყოფის გამოხატვას; სამაგიეროდ სდგამდა ისეთ ნაბიჯებს, მოქმედებდა ისე, რომ თავისი მოქმედებით გამოეწვია ამ მასსების მხურვალე თანაგრძნობა. გულდასმით ყურს უგდებდა რა მათ მისწრაფებებს და სურვილებს, ის სამოქალაქო ომის ხანაში, მწვავე მომენტში, ისე შორს მიდიოდა მათი მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, როგორც ჩვენ, მენშევიკები, დატყვევებულნი პროგრამული დოქტრინერობით, არასოდეს არ ვბედავდით"...

სიკვდილით დასჯის შესახებ მარტინოვი სწერს:

„სიკვდილით დასჯა, რა თქმა უნდა, არის ბარბაროსობა, ზედმეტი, მიზნის არ მიმხწევი სისასტიკე მკვიდრ სახელმწიფოებრივ წყობილების პირობებში, როცა სახელმწიფო აპარატი წესიერად მოქმედებს და როცა ბოროტმოქმედს ათიდან ცხრა შემთხვევაში შეხვდება კანონიერი სასჯელი. მაგრამ განა შეგვეძლო ჩვენ, რევოლიუციონერებს, იმის თქმა, რომ არ მივმართავთ სიკვდილით დასჯას კონტრ-რევოლიუციასთან რევოლიუციის გამწვავებულ ბრძოლის პირობებში, როცა ტანჯვა-წვალება საპყრობილეებში ხშირად არარად მოსჩანს იმ საშინელ განცდებთან გარედ, თავისუფლად ყოფნის დროს, როცა პოლიტიკური სიტუაცია იცვლება ყოველ მომენტში, როცა კაცს, რომელიც დღეს დავაპატიმრეთ, აქვს საფუძველი იმედი იქონიოს, რომ ერთი კვირის, ერთი თვის, ორი თვის შემდეგ ის ჩვენ დაგვიჭერს და გაგვისწორდება, როცა სიკვდილის დასჯაზე უარის თქმა უდრის სახელმწიფოსათვის მძიმე და საშიშ დანაშაულობათა თითქმის სრული დაუსჯელობის აღიარებას".

„ამბობენ, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ მოსპო სიტყვის, კრებების, ბეჭდვის თავისუფლება.

ბეჭდვის თავისუფლება არის უდიდესი ღირებულება, რომლის მოსაპოვებლად ჩვენში ტყუილ-უბრალოდ არ სწარმოებდა ასწლოვან ბრძოლა. მაგრამ ჩვენ, სოციალისტებს, გვაქვს უფრო მაღალი რანგის ღირებულება, ვინემ ბეჭდვის თავისუფლება—ესაა თავისუფლება ადამიანის მიერ ადამიანის ყოველგვარ ექსპლოატაციისაგან. და როგორ უნდა მოვიქცეთ, თუ დადგება ხანა, როცა ბეჭდვის თავისუფლება შეეჯახება კაპიტალისტურ მონობიდან მუშათა კლასის განთავისუფლების ამოცანას? და სწორედ ასეთია დღეს ჩვენში საქმის მდგომარეობა".

შემდეგ მარტინოვი აღნიშნავს, თუ რა შედეგი შეიძლებოდა მოყოლოდა ბეჭდვის და სიტყვის თავისუფლების მინიჭებას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ განწყობილ ინტელიგენციისათვის.

„თავისი სიტყვებით... მას შეეძლო მასების წალეკვა. სიტყვა, ზეპირი და წერილობითი, ხომ ინტელიგენციის მთავარი პროფესიონალური იარაღია. სავსებით ცხადია, რომ ასეთ გარემოებაში კონკურენციის პირობები „სიტყვიერების" ასპარეზზე ორ მებრძოლ ბანაკ შორის სრულებით არ იქნებოდა თანასწორი". გარდა ამისა, დროც არ იყო ინტელიგენტური ლაყბობის გაბათილებისათვის".

მარტინოვი ფიქრობს, რომ რევოლიუციის ინტერესებისათვის ეხლაც საჭიროა ბეჭდვის თავისუფლებას მოვეპყრათ დიდი სიფრთხილით. „როგორ შეუძლია საბჭოთა ხელისუფლებას დაუშვას სამგლოვიარო აურ-ზაური მაშინ, როცა მას უხდება გმირული ღონისძიებათა მიღება სახელმწიფო მრეწველობის ასაღორძინებლად, როცა ოთხ მეხუთედ ნახევრად დანგრეულ, ნაციონალიზაცია მოხდენილ წარმოებებს, ნედლეულის, სურსათის და სათბობ მასალის უქონლობის, ბაზრის შემცირების და საბოტაჟის გამო, ერთი მხრივ, და გამოუცდელობის წყალობით, მეორე მხრივ, ჯერ კიდევ არ შეუძლიათ თავის შენახვა, როცა ისინი ჯერ კიდევ მძიმე ტვირთად აწვანან სახელმწიფო ბიუჯეტს, და მასაშადამე გლეხობასაც, როცა ჯერ ისევ საჭიროა გლეხობისაგან კრედიტით დახმარების მოთხოვნა?

სასაცილო არ არის მოთხოვნა, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ ასეთ პირობებში შეაიარაღოს თავისუფალ ბეჭდვითი სიტყვით „დემოკრატიული ინტელიგენცია", როცა ამ უხასიათო ინტელიგენციის ისედაც ასპირიანი ხმა ყოველ დღე წინასწარმეტყველებს: ერთი, ორის თვის შემდეგ საბჭოთა ხელისუფლება გადასცემს საკონცესიოდ ან იჯარით წინანდელ კაპიტალისტებს ყველა ფაბრიკებს და ქარხნებს, სწორედ ისევე, როგორც ის 1918, 1919 წლებში წინასწარმეტყველებდა: ერთიან ორი თვის შემდეგ საბჭოთა ხელისუფლება ჩამოგდებულ იქნება გლეხური აჯანყებით და გასრესილი ძლევამოსილი კონტრ-რევოლიუციით?

როცა მე ერთი წლის წინად გავიგე, რომ „მემარცხენე" მენშევიკებს სიტყვით უკავიათ კურსი სოციალისტურ რევოლიუციაზე და ამავე დროს მოითხოვენ საბჭოთა ხელისუფლებისაგან, რათა ის ფრიად მძიმე პირობებში განიარაღებულიყო, რათა მას მიეცა თავისი მტრებისათვის ბეჭდვის თავისუფლება,—მე მიმაჩნდა მათი მოთხოვნა გულუბრყვილო უაზრო მოთხოვნად. ეხლა, როცა „მემარცხენე" მენშევიკებმა უარყვეს თავიანთი „რევოლიუციონური ცრუ აზრები" და წამოაყენეს ლოზუნგი—უკან, კაპიტალიზმისაკენ!—მე ვხედავ, რომ მათი მოთხოვნები ყოფილან არც ისე უაზრონი: „ამ უაზრობაში იყო თავისებური სისტემა"...

კომინტერნის მოწოდება

მთელი მსოფლიოს რევოლიუციონურ პროლეტარებს და გლეხებს.

გაუმარჯოს ოსმალეთის დაპატიმრებულ კომუნისტებს.

კაპიტალისტურ ქვეყნებში მილიონ მუშების გალატაკების, დაჩაგვრის და შრომის შეუბრალებელ ექსპლოატაციის საშუალებით შექმნეს იმპერიალისტურმა მტაცებლებმა—ინგლისმა, საფრანგეთმა და სხვ.—თავისი მსოფლიო ძლიერება. მაგრამ კიდევ უფრო გააძლიერეს და გაადიდეს მათ თავისი სიმდიდრე კოლონიალურ და ნახევრად კოლონიალურ ქვეყნების მრავალ-მილიონიან მშრომელი მასსების დამონებით და უსირცხვილო ცარცვა-გლეჯით. ამასთანავე ერთად მსოფლიო იმპერიალისტურმა ომმა და შემდეგ წლებმა აშკარად დაგვანახვა, რომ კაპიტალიზმს არ შეუძლია დამორჩილება იმ ძალების, რომელიც მან თითონვე წარმოშვა. **ომის შემდეგ დაიწყება კაპიტალიზმის დაშლის ხანა..**

მსოფლიო სისხლის ღვრამ თვალი აუხილა კოლონიალურ ქვეყნების მილიონ პროლეტარებს და გლეხებს და დაანახვა მათ მათი ცხოვრების პირობები: ძლიერი, მაგრამ ჯერ ორგანიზაციულად შეუკავშირებელი რევოლიუციონური მოძრაობა იყო მსოფლიო სისხლიანი ომის დამთავრების შედეგი. ეს სტიქიური ძალა, რომელიც მზად იყო საუკეთესო მომავლისათვის საბრძოლველად, ორგანიზაციულად შეაკავშირა ადგილობრივმა ნაციონალურმა ბურჟუაზიამ. გაიზარდა და გაძლიერდა რა ომის დროს, მას არ სურდა კვლავ დარჩენილიყო იმპერიალიზმის ბრჭყალებში და მიეცა მისთვის ლომის კერძი „საკუთარი მუშების და გლეხების ექსპლოატაციიდან", ეროვნულ განთავისუფლებისათვის ბრძოლას,—ახალგაზრდა კოლონიალურ ბურჟუაზიის ლოზუნგს,—მტკიცედ ჩასჭიდეს ხელი ინდოეთის, ეგვიპტის ოსმალეთის და სხვ. მშრომელმა მასსებმა და შეუდგნენ მის ცხოვრებაში გატარებას.

კომუნისტური ინტერნაციონალი ყოველთვის იბრძვის კაპიტალისტური მტაცებლების წინააღმდეგ მსოფლიოს ყველა ქვეყნებში.

შეეძლო მას თუ არა ფარისევლურად ზურგი შეექცია კოლონიალურ და ნახევრად კოლონიალურ ქვეყნების ეროვნულ განმანთავისუფლებელ ბრძოლისათვის?

კომუნისტურმა ინტერნაციონალმა აშკარად აღიარა, რომ ის მხარს უჭერს და ხელს უწყობს ამ ბრძოლას და ამ დახმარებას შეურყევლათ ანხორციელებს დღევანდლამდე.

კომუნისტური ინტერნაციონალი განსაკუთრებულის თანაგრძნობით თვალ-ყურს ადევნებდა **ოსმალეთის ხალხის** გმირულ ბრძოლას ანტანტის მოძალადეების წინააღმდეგ. ხშირათ მიაქცევდა რა მთელი ქვეყნის მოწინავე პროლეტარიატის, განსაკუთრებით კი საბჭოთა რუსეთისას, ყურადღებას ოსმალეთის მუშების და გლეხების რევოლიუციონურ ბრძოლისაკენ, კომუნისტური ინტერნაციონალი ყოველთვის მოუწოდებდა მათ ყოველმხრივ მხარი დაეჭირათ ამ ბრძოლისათვის. ანტანტის იმპერიალისტებმა, რომლებიც ძალებს აფასებენ გირვანქებით და დოლარებით, დრედნოუტებით და ტყვიის მფრქვეველებით, მხოლოდ ეხლა გაიგენ ცოტათი მნიშვნელობა იმის, რაც არ აიწონება რაც ბირჟაზე არ აღირიცხება, მნიშვნელობა მსოფლიო რევოლიუციონური პროლეტარიატის თანაგრძნობისა. მაგრამ კომუნისტური ინტერნაციონალი სავსებით აფასებს ამ დახმარების უდიდეს როლს, ურომლისოდაც იმპერიალისტური ყაჩაღების იერიში პირველ შემთხვევაშივე დამთავრდებოდა პატარა ოსმალეთის დაღუპვით.

ანგორის ეროვნულმა მთავრობამ, რომელიც ხელმძღვანელობს ოსმალეთის ხალხის რევოლიუციონურ განმათავისუფლებელ ბრძოლას, არ უნდა, დაივიწყოს ყველაფერი ეს. **ოსმალეთის რევოლიუციონური გამარჯვება მტკიცე და ხანგრძლივი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უზრუნველყოფს თავისთვის მომავალშიაც მსოფლიო პროლეტარიატის და მისი ავანგარდის—კომუნისტური ინტერნაციონალის დახმარებას.**

რა არის მიზეზი, რომ პროლეტარიატი სიმპატიით უყურებს ანგორის ნაციონალური მთავრობის ბრძოლას? **შეურყეველი რწმენა, რომ იმპერიალისტური უღელის ჩამოგდების გარეშე შეუძლებელია ოსმალეთის მუშების და გლეხების განთავისუფლება.** ანგორის ეროვნული მთავრობის ბრძოლაში მსოფლიო პროლეტარიატი ხედავს არა მარტო ეროვნული განთავისუფლების პერსპექტივებს, **არამედ ობიექტიურ მომზადებას ოსმალეთის მშრომელი მასსების სრული განთავისუფლებისათვის.** სწორედ ამიტომ ცნობამ ოსმალეთში რევოლიუციონურ მუშების და გლეხების და მათი კომუნისტური პარტიის დევნის დაწყების შესახებ აღშფოთება გამოიწვია ყველა ქვეყნის მოწინავე პროლეტარიატში.

ანგორის ეროვნული მთავრობა სდგება საშიშარ გზაზე, რომელმაც შეიძლება დააკარგვიოს მას მებრძოლი ოსმალეთის ერთად ერთი გულითადი მეგობარი—მსოფლიო რევოლიუციონური პროლეტარიატი და კომუნისტური ინტერნაციონალი.

ოსმალეთში ხურავენ პროფკავშირებს და სდევნიან მუშათა ორგანიზაციებს. განადგურებულია ოსმალეთის კომუნისტური პარტია. დაპატიმრებულ კომუნისტებს განსაკუთრებულის წესით ასამართლებენ. მათ ბრალს სდებენ სახელმწიფოს ღალატში. ანგორის მთავრობა სასტიკი სასჯელით ემუქრება მათ. რევოლიუციონურ მუშების და გლეხების დევნის და შევიწროების საშუალებით ოსმალეთის მთავრობას უნდა მოიპოვოს ლოზანაში ანტანტის ყაჩაღების თანაგრძნობა და კეთილ განწყობილება.

კომუნისტური ინტერნაციონალი, რომელიც არის მთელი ქვეყნის მოწინავე მუშების და გლეხების ძალის გამომხატველი, **ამ მუშების და გლეხების სახელით** მიმართავს კატეგორიული გაფრთხილებით ანგორის მთავრობას. **ნუ შესდგებით მუსსოლინის და პუანკარეს გზაზე. მსოფლიო იმპერიალისტები კიდევ არსებობენ. თქვენი ბრძოლა ჯერ სრულიადაც არ დამთავრებულა. საერთაშორისო პროლეტარიატის დაუხმარებლად თქვენ ამ ბრძოლაში დამარცხდებით.**

კომუნისტური ინტერნაციონალი მოუწოდებს ყველა ქვეყნის რევოლიუციონურ პროლეტარიატს—პირველ რიგში ინგლისის, საფრანგეთის, რუსეთის და შვეიცარიის მუშებს—მიმართონ გაფრთხილებით ანგორის ეროვნული მთავრობის წარმომადგენელთ ამ ქვეყნებში.

ჩვენთვის ძვირფასია ოსმალეთის მშრომელთა ბრძოლა და პირველი გამარჯვება. კომუნისტური ინტერნაციონალი უდიდესი თანაგრძნობით თვალყურს ადევნებს ამ ბრძოლის შემდეგ განვითარებას. **ყველაფერს, რაც ხელს უშლის ოსმალეთის მუშების და გლეხების გამარჯვების განმტკიცებას და განვითარებას, საერთაშორისო პროლეტარიატი გამოუცხადებს შეუბრალებელ და შეურიგებელ ბრძოლას.**

გაუმარჯოს ოსმალეთის კომუნისტებს, რომელნიც ჩაყრილი არიან ანგორის ციხეებში!

გაუმარჯოს ოსმალეთის ხალხის განმანთავისუფლებელ ბრძოლას მოძალადე იმპერიალისტების წინააღმდეგ!

გაუმარჯოს კოლონიალურ მონების ძლევა-მოსილ ბრძოლას მათი ექსპლოატატორების წინააღმდეგ.

გაუმარჯოს მე-3-ე კომუნისტურ ინტერნაციონალს, მთელი ქვეყნის პროლეტარების და ჩაგრულთა განმანთავისუფლებელ ბრძოლის ხელმძღვანელს!

კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტი.

მოსკოვი. 10 თებერვალი 1923 წ.

ვილჰელმ რენტგენი

(პროფესორები ზ. ვ. ვულფისა და ს. ბ. ვერმელის ცნობებიდან).

გარდაიცვალა რენტგენი, წასული საუკუნის ერთი გამოჩენილი ადამიანთაგანი. 1895 წ. მისმა აღმოჩენამ, რომელმაც საშუალება მოგვცა დაგვენახა ის, რის დანახვაც შეუძლებელი იყო, შეაშფოთა არა მარტო მეცნიერნი, არამედ მთელი მსოფლიო. ვის არ ახსოვს პირველი სასწაულებრივი დემონსტრაციები, ცოცხალი ადამიანის ძვლების, დახურულ კოლოფებში სპილენძის და ვერცხლის ფულის და სხვა ლითონის საგნების დანახვა. მაგრამ უდიდესი როლი ამ აღმოჩენამ ითამაშა მედიცინაში, დაედო რა იგი საფუძვლად მის ახალ დარგის-რენტგენოლოგიას.

მედიცინამ გამოიყენა რენტგენის ახალი სხივების ორი ღირსშესანიშნავი თვისება. ჯერ-ერთი ამ სხივების თვისება გატარდენ სხვა და სხვა სიმკრივის ქსოვილებში, სხვა და სხვა რაოდენობით, რბილი ქსოვილები გაატარებენ ამ სხივების მეტ რაოდენობას, უფრო მაგარი კი, როგორც ძვლები აკავებენ მათ. ფლუორესტიურ ეკრანზე მიიღება ძვლების და სახსრების ნათელი გამოხატულება. შემდეგ, სქელ კუნთოვან ქსოვილისაგან შემდგარი და სისხლით გაჟღენთილი გული, ისევე როგორც სისხლის დიდი ძარღვები, ნათლად სჩანს ეკრანზე. იმის გამო, რომ მათი გამტარებლობა სხივებისათვის უფრო ნაკლებია, ვიდრე ახლო მდებარე ქსოვილების, ფილტვებისა და სხვ. ამგვარად შესაძლებელი გახდა სრულიად გარკვეულად დაენახათ მომუშავე გული და სისხლის მილები ცოცხალი ადამიანისა. მაგრამ რენტგენის სხივები მოქმედებენ ფოტოგრაფიულ ფირფიტებზედაც. დაფარულ ორგანოების ფოტოგრაფიულად გადმოღება ხდება ფირფიტებზე, რომელიც გახვეულია ჯერ ხის ბუდეში და შემდეგ შავ ქაღალდში, ვინაიდან ყველაფერი ეს ხელს არ უშლის რენტგენის სხივების გატარებას. შეიძლება ითქვას, რომ დღეს თითქმის არ არის არც ერთი ორგანო, რომელიც ამა თუ იმ მომზადებით არ იყოს გამოკვლეული რენტგენის სხივების საშუალებით. ამ სხივებმა სრულიად შესცვალა წინად არსებული წარმოდგენა ცოცხალ ორგანიზმში მრავალ ორგანოების მდებარეობის და ფორმის შესახებ (განსაკუთრებით გულის, კუჭის, ნაწლავების და სხვ.), ხოლო მეორეს მხრივ, შესაძლებელი გახდა სწორი დიაგნოზის დასმა ყველა ისეთ შემთხვევაში, როდესაც მხოლოდ დაახლოვებითი მიხვედრა იყო საჭირო.

ამ სხივების მეორე თვისება, როდესაც გაიგეს ფიზიკოსებმა, ინჟინრებმა და ექიმებმა თავიანთ მწარე გამოცდილებით, საფუძვლად დაედო რენტგენის სხივების მკურნალობის მიზნით ხმარებას.

პირველმა მეცნიერებმა, რომელთაც იმუშავეს ამ სხივებზე, დაჰკარგეს წვერ-ულვაში და თმა, ხოლო სხვებს ძვირად დაუჯდათ თავისი სამეცნიერო მუშაობა,—მათ მიიღეს კანის სიდამწვრე და განუკურნებელი იარები. გამოჩენილ მეცნიერს—რენტგენოლოგს ალერს-შენბერგსაც ძალიან ძვირათ დაუჯდა თავისი მუშაობა—მას გაუკეთეს ხელის ამპუტაცია. მაგრამ ამავე დროს ყველა ამ უბედურმა შემთხვევებმა დაამტკიცა, რომ რენტგენის სხივები ინდიფერენტიული არ არის ცოცხალი ორგანიზმისათვის და ამ სხივების მოხერხებულად გამოყენება სამკურნალო მიზნით მეტად კარგ შედეგს იძლევა. მუშაობა ამ მიმართულებით სწარმოებდა 1902 წლამდე, როდესაც ცნობილმა ვენის რენტგენოლოგმა გოლცკნეხტმა წარადგინა თავისი დოზიმეტრი, რომელიც იძლევა საშუალებას სისწორით გავზომოთ ავადმყოფისათვის საჭირო სხივების რაოდენობა. მაშინ რენტგენის სხივებით მკურნალობა მტკიცე ნიადაგზე დამყარდა და ხმარებულ იქნა მთელ რიგ კანის დაავადების და განსაკუთრებით თმის პარაზიტულ დაავადების დროს (სიკოზი და სხვა). იმავ 1902 წელში ამერიკელმა ექიმმა ზენნმა აღწერა რენტგენის სხივებით თეთრ სისხლიანობის განკურნება, რამაც მედიცინაში სენსაცია მოახდინა; დამტკიცდა, რომ რენტგენის სხივებს შეუძლიათ იმოქმედონ არა მარტო კანზე, არამედ უფრო ღრმად მდებარე ორგანოებზე. ჩქარა დარწმუნდენ, რომ იგივე სხივები ძალიან ენერგიულად მოქმედებენ ლიმფატიურ ჯირკვლებზე, სასქესო ჯირკვლებზე, ელენთაზე, და სისხლზე. რენტგენის სხივებით მკურნალობა სულ ახალ და ახალ დარგებში ვრცელდება.

ძალიან კარგი შედეგები იქნა მიღებული მინეკოლოგიაში საშვილოსნოს სისხლის დენის, ფიბრომის და კიბოს მკურნალობის დროს, თვალსაჩინო ადგილი დაიკავა ამ სხივებმა ძვლების, სახსრების და სხვა ორგანოების ადგილობრივ ტუბერკულიოზის და მავნე თვისებიან ხორცმეტების (კიბო, სარკომა და სხვა) მკურნალობაში.

თვით რენტგენმა მის მიერ აღმოჩენილ სხივებს იქს—სხივები უწოდა, ე. ი. გამოუცნობ ბუნების სხივები. მხოლოდ მრავალ წლების შემდეგ რენტგენის მოწაფემ, მიუნხენის ფიზიკოსმა ლიაუემ გამოსახა საკითხის გადაჭრა კრისტალების თვისებათა შესწავლის დროს, რომელ საკითხშიაც რენტგენმაც იმუშავა. ლიაუემ დაამტკიცა, რომ რენტგენის მიერ აღმოჩენილი შუქი განირჩევა ჩვეულებრივი შუქისაგან მხოლოდ თავისი ტალღების სიგრძით, რომელიც ათი ათასჯერ ნაკლებია ჩვეულებრივ შუქის ტალღებზე; ეს ერთი გარემოება განმარტავს ორივე სახის შუქის განსხვავებას. რენტგენის შუქის ბუნების გამორკვევამ სრულიად ახალი შეხედულება შეიტანა ნივთიერების შინაგან შენების, და ბოლოს ნივთიერების შემადგენელ უმცირეს ნაწილების—ატომების ბუნების შესწავლაში. ეხლა ფიზიკოსების მთავარ ინტერესს შეადგენს რენტგენის სხივების და მათი შემწეობით ნივთიერების შენების შესწავლა. ამ გამოკვლევათა წყალობით, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია რენტგენის აღმოჩენასთან, ჩვენ მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ მთელი მსოფლიოს შენებას საფუძვლად უდევს ელექტრობა, რომლის თვისებების მიხედვით, ჩვენ ვარკვევთ ნივთიერების ყველა თვისებებს.

ვისთვის უფრო ძვირფასია რენტგენი—ექიმების და ფიზიკოსებისათვის—ამის თქმა ძნელია. მაგრამ ის რომ ძვირფასია მძიმე ავადმყოფთათვის—ეს ყოველ ეჭვს გარეშეა.

რენტგენის გარდაცვალება

ბერლინი. 11 თებ. მიუნხენში გარდაიცვალ. გამოჩენილი მეცნიერი ვილგელმ რენტგენი, რომელმაც X—სხივები აღმოაჩინა.

ვილგელმ რენტგენი არის ერთი იმ მეცნიერთაგანი, რომელთა სახელს არასოდეს არ დაივიწყებს მეცნიერება და მთელი კაცობრიობა. მისი ღირს შესანიშნავი აღმოჩენა ე. წ. რენტგენის სხივებისა (იქს—სხივებისა—როგორც თვით რენტგენი უწოდებს) მოხდა 1895 წელს. მუშაობდა რა კატოდის სხივების შესწავლაზე, რომელიც აღმოცენდება შეოხელებულ ჰაერიან მილში, მასში რუმკორფის მორგვის განტვირთვის (разряд) გატარების დროს. და დააფარა რა ამ ბოლს შავი კარდონი, რენტგენმა „შენიშნა განსაკუთრებული შავი ხაზი იმ კარდონის გარდიგარდმო, რომელიც დაფარული იყო პლატინასინილ მჟავა ბარიუმით და იდვა მილის მახლობლად სკამზე". ამ მოვლენის გამო, რენტგენმა მიაკვლია მეტად მნიშვნელოვან ფაქტორს,—X-სხივების თვისება გატარდენ ბუნების ყოველგვარ სხეულებში. რენტგენის აღმოჩენამ. ძალიან წინ წასწია მეცნიერება და სხვათა შორის ფართოთ გამოყენებულ იქნა მედიცინაში; სულ უკანასკნელ ხანებში ამ სხივებს ხმარობენ ადამიანის „გაჭაბუკების" ცდების დროს. კიდევ უფრო თვალსაჩინო შედეგები მოჰყვა რენტგენის სხივების აღმოჩენას მეცნიერების სხვა დარგებში და განსაკუთრებით თეორეტიულ ფიზიკაში. ჯერ კიდევ თვით რენტგენმა შენიშნა, რომ მის მიერ აღმოჩენილ სხივების დაცემა ელექტრონით დატვირთულ სხეულზე იწვევს ამ უკანასკნელის სწრაფად განტვირთვას. მაგრამ ეს დაკვირვება რენტგენს არ გამოუქვეყნებია. პირველად ეს მოვლენა შეისწავლა ჯ. ტომსონმა. რენტგენის სხივების ეს თვისება რომელიმე გაზში გატარების დროს აძლევს ამ გაზს ელექტრონის გამტარებლობის თვისებას. შემდეგში ფართოთ იქნა დამუშავებული მეცნიერების მიერ და გადაუშალა მეცნიერებას ბრწყინვალე პერსპექტივები. ამ ჟამად მასზე დამყარებულია იონების და ელექტრონების თეორია. ეს კიდევ ცოტაა, არა მარტო უკანასკნელი სწავლება ატომების შენების შესახებ არამედ ყველა უკანასკნელი დროის აღმოჩენები რადიუმის სასწაულებრივ მოქმედების შესახებ ბოლოს და ბოლოს რენტგენის დიდ აღმოჩენიდან გამომდინარეობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაბათს, ა. წ. 24 თებერვალს,

სახელმწიფო ოპერის შენობაში

შესდგება

ქალაქის საბჭოს საზეიმო სხდ

ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების, ადგილკომების და კავშირების თველობის მონაწილეობით.

დღის წესრიგში სდგას:

1. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 2 წლ —ამხ. **ორახელაშვილის** მოხსენება.
2. წითელი არმიის 5 წლის თავი—ამხ. **ვრაჩევის** მოხსენება.
3. წითელი კავალერების საპატივცემლო ზეიმი და მათ დასაჩ სხდომის შემდეგ სპექტაკლი. სხდომა დაიწყება საღამოს 6 საა

ქალაქის საბჭოს პრეზიდიუ

შაბათს, 24 თებერვალს, საღამოს 5 საათზე შესდგ

საქართველოს კომპარტიის ცეკას საორგანიზ

კოლეგიის სხდომა

დღის წესრიგში სდგას შემდეგი საკითხები,

1. საქართველოს კომპარტიის საორგანიზაციო სტრუ შესახებ.
2. საწევრო გადასახადის შესახებ.
3. მოხსენება აღმრიცხველ განმანაწილებელ განყოფ მოსკოვის თათბირის შესახებ.
4. მიმდინარე საქმეები.

საქართველოს კომპარტიის საორგანიზაციო განყოფილებ

რადიო-დეპეშები

რურის ოლქის ოკუპაცია

მოხელეების გადასახლება.

ბერლინი. 21 თებ. რურის ოლქიდან და რეინლანდიიდან ფრანგებმა გადაასახლეს დაახლოვებით 340 უმაღლესი თანამდებობის პირი.

საპროტესტო გაფიცვა.

ბერლინი. 21 თებ. დიუსელდორფიდან გადაასახლეს ობერ-ბურგომისტრი რეტეგენი. ქალაქში გამოცხადებულია 24 საათის საპროტესტო გაფიცვა.

გერმანიის პოლიციის განიარაღება.

პარიზი. 21 თებ. რურში გრძელდება პოლიციის განიარაღება. მას შესცვლის ადგილობრივი პოლიცია, რომელიც შეიარაღებული იქნება რევოლვერებით.

არ ემორჩილებიან აკრძალვას.

ბერლინი. 21 თებ. პრუსიის მრეწველობის მინისტრი ჩავიდა რურის ოლქში მდგომარეობის გასაცნობად.

ფრანგების ძალადობა.

რომი, 21 თებერვალი. ესსენის ბურგომისტრს მიუსაჯეს ორი წლის ციხე და 10 მილ. მარკა ჯარიმის გადახდა, რადგან მან უარი განაცხადა ავტომობილების ჩამორთმევაზე.

მუშებთან შეტაკება.

რომი, 21 თებ. ბოხუმში სერიოზული ინციდენტები მოხდა ფრანგ ჯარისკაცებსა და მაღაროების მუშებ შორის, რამაც საყოველთაო გაფიცვა გამოიწვია. შეტაკების დროს მოკლული და დაჭრილნი იყვნენ რამოდენიმე კაცი.

მოსამსახურეთა დევნა.

პარიზი. 21 თებ. დიუსელდორფიდან იუწყებიან, რომ დიუსელდორფის ცენტრალურ ფოსტის პერსონალის მიერ საბოტაჟის გამო, სამხედრო ხელისუფლების ბრძანებით, ტელეგრაფის ყველა კანტორები და ხაზები გაწმენდილი არიან მოსამსახურეებისიგან.

რურის გარშემო

პუანკარეს განმარტება.

ბერლინი. 21 თებერვალი. ფრანგული პრესა იუწყება პუანკარეს მიერ 19 თებერვალს გარეშე საქმეთა კომისიაში წარმოდგენილ განმარტების შესახებ. პუანკარე მზათ არის თავი დაანებოს რურის ოკუპაციას და მხოლოთ რურის ნაყოფიერების კონტროლი შეინარჩუნოს. პუანკარე დასაშვებლათ სთვლის აზრს რურის ნაყოფიერების დაცემის შესახებ.

„ფოსიშე ცეიტუნგი“-ს პარიზელი კორესპონდენტი იუწყება, რომ პუანკარეს ამ განცხადებას, რომელიც გამოთქმული იყო საზოგადოებრივ აზრის დასამშვიდებლათ, კომისია ეჭვით შეხვდა.

პარიზის „ევრი“ ამტკიცებს, რომ პუანკარემ, კომისიიდან გამოსვლის შემდეგ, უთხრა კორესპონდენტებს, რომელთაც სურდათ მიეღოთ პუანკარესაგან კომისიაში გაკეთებულ განმარტების დასაბუთება, რომ მისი განცხადება სიმართლეს არ შეესაბამება და რომ მას აწ არ სურს კომისიას რაიმე ცნობა მიაწოდოს.

ვირგინიი გლასის სიტყვა.

პარიზი. 21 თებერვ. შეერთებულ შტატების სენატში ყოფილმა ხაზინადარმა ვირგინიი გლასმა, სენატორ ბორახის საპასუხო სიტყვაში განაცხადა: „ჩვენ დაბოლოს უნდა მოვსპოთ გერმანიის ჩაგვრა. ბევრად უკეთესი იქნება თუ განვიხილავთ გეგმას შექმნილ მდგომარეობიდან გერმანიის გამოყვანის შესახებ“ სიტყვის დასასრულს გლასმა სთქვა: „მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამერიკა რომ მომხდარიყო ისეთ მდგომარეობაში, როგორშიაც საფრანგეთი იმყოფებოდა, ის მოიქცეოდა ისევე როგორც უკანასკნელი. დაიკავებდა რურის ოლქს.“

თათბირობენ.

პარიზი. 20 თებერ. რეინლანდის ტრანსპორტის გამგეს გენ პაიოს კელნში თათბირი ჰქონდა გენ. გოდლესთან, რომელიც დანიშნულია ბრიტანეთის საოკუპაციო ჯარების მთავარსარდლად „პტი პარიზენ“-ის ცნობით მოკავშირეთა უზენაესი კომისიის თავმჯდომარემ ტურატმა განაცხადა „ჩენ გენ. დეგუტთან შევთანხმდით საერთო მოქმედების შესახებ რეინლანდში და რურში საბაჟოების რეჟიმის და სახელმწიფო ტყეების ექსპლოატაციის საკითხში ამ შეთანხმებას ახლო მომავალში მიემატება დებულება რკინის გზების შესახებ.

გაფიცვები გერმანიაში.

მოსკოვი, 21 თებერვალი. საფეიქრო ფაბრიკებმა, რომლებიც მდებარეობს გერმანიის დაუკავებელ ზონაში რურის მახლობლად, საფრანგეთის ხელისუფლების მიერ ნახშირის გატანის აკრძალვასთან დაკავშირებით გამოაცხადეს გაფიცვები.

ლიბერალების პროექტის მარცხი.

ბერლინი. 21 თებერვ. ინგლისის მუშათა პალატა იხილავდა პროექტს. რომელიც შეიტანა ლიბერალურმა პარტიამ ერთა ლიგის საბჭოს წინადადების გამო, რომელიც მოითხოვს საგანგებო კომისიის მოწვევას გერმანიის მიერ საკონტრიბუციო გადასახადის შეტანის შესაძლებლობის გამოსარკვევად და ინგლისის წარმომადგენელისათვის ერთა ლიგაში უფლების მიცემას, რათა მოიწვიოს შეერთებული შტატები კომისიაში მონაწილეობის მისაღებად. ლიბერალური პარტიის წევრმა ფისტერმა განაცხადა, რომ საფრანგეთის მთავრობამ არ უნდა იხელმძღვანელოს ინგლისის პრესის იმ ნაწილის შეხედულებებით, რომელიც იწონებს საფრანგეთის მოქმედებას რურის ოლქში და აქედან არ უნდა გამოიტანოს ის დასკვნა, რომ თითქოს მთელი ინგლისი იწონებდეს ამ ლიბერალური პარტიის პოლიტიკას. წინადადება უარყოფილ იქნა 305 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 196-ს.

ლოიდ-ჯორჯს ეშინია მღელვარების.

ბერლინი: 21 თებერვ. თემთა პალატაში ლოიდ-ჯორჯმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც განაცხადა, რომ ინგლისმა არ უნდა მოიწონოს საფრანგეთის ისეთი მოქმედება, რომელიც საფრთხეს უმზადებს „მსოფლიოს მშვიდობიანობას და პირიქით, როგორც მოკავშირე და საფრანგეთის მეგობარი, ინგლისი მოვალეა დაიფაროს ის დაღუპვისაგან. საფრანგეთის მთელი პოლიტიკა აშენებულია შემცდარ ანგარიშებზე, რაშიაც ადრე დარწმუნდება თვით საფრანგეთიც.

ლოიდ-ჯორჯს არ შეუძლია დაუშვას ის აზრი, რომ საფრანგეთს რურის ოლქის ოკუპაციის დროს ამოქმედებდა მხოლოდ გადასახადების მიღება, ვინაიდან კონტრიბუციის გადახდის მიღწევა ამ საშუალებით ყოვლად შეუძლებელი იყო. საფრანგეთს, ცხადია, ამოქმედებს სულ სხვა მიზნები, რაც ძლიერ სამწუხაროა. საფრანგეთს სრული შესაძლებლობა აქვს ჩაახშოს გერმანია, მაგრამ ის ძლიერ ცდება, თუ ფიქრობს ასეთი პოლიტიკით რაიმე შედეგების მიღწევას. მოსალოდნელი მღელვარება გერმანიაში უფრო დამღუპველი იქნება ინგლისის და საფრანგეთისათვის, ვინემ თვით გერმანიისათვის. ეს მღელვარება უდიდესი საფრთხე იქნება ევროპისათვის. ინგლისი, ცხადია, დახმარებას გაუწევს საფრანგეთს გერმანიის მხრივ უშუალო შეიარაღებულ თავდასხმის დროს, მაგრამ გერმანიის ხალხის მდგომარეობა იწვევს ღრმა სიბრალულს და არ შეიძლება არ დავეხმაროთ გერმანიის ერს.

იაფი ჯდება.

ბერლინი. 21 თებერვ. მინისტრთა საბჭო პარიზში მორიგ სხდომაზე განიხილავს რურის ოლქის ოკუპაციის ხარჯებისათვის მიღებულ დამატებით თანხებს. საჭირო კრედიტები აღემატება 5,000 მილ. ფრანკს სამოქალაქო ნაწილის ხარჯებისათვის, 50 მილ. სამხედრო მიზნებისათვის და 60 მილ, რკინის გზის საჭიროებისათვის.

ალენის გამგზავრება.

ბერლინი. 21 თებერვალი გენ. ალენი, ამერიკის საოკუპაციო ჯარების მთავარ სარდალი, მთელი თავისი შტაბით 19 თებერვალს მოვიდა კომლეციდან ბრემენში ამერიკაში გასამგზავრებლად.

ფინეთის იურისტების პროტესტი.

ბერლინი. 30 თებერვალი. ფინეთის პრესა იტყობინება, რომ ფინეთის იურისტებმა წერილობითი პროტესტი განაცხადეს საფრანგეთის საოკუპაციო ხელისუფლების მიერ რურში ჩადენილ ძალადობის და უსამართლობის წინააღმდეგ.

აკრძალვა არ შველის.

რომი. 21 თებერვალი, შესვლის აკრძალვის მიუხედავად, გერმანიის ფოსტა - ტელეგრაფის მინისტრმა შესძლო რურის ოლქში შესვლა. მან მთელი დღე დაჰყო ესსენში და ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეების წინაშე წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც მოუწოდებდა წინააღმდეგობისაკენ.

გერმანიის ამბები

კრიზისი საქსონიაში.

პარიზი. 21 თებ. კრიზისი საქსონიაში, რომელიც გამოწვეულია კაბინეთის გადადგომით, გრძელდება, მიუხედავათ ბურჟუაზიული პარტიების ღონისძიებისა შექმნან კოალიცია სოციალისტების და კომუნისტების ოპოზიციის წინააღმდეგ.

მინისტრ - პრეზიდენტის არჩევის დროს ლანდტაგში ადილი ჰქონდა დიდ მღელვარებას.

ახლო აღმოსავლეთში

აჯანყება ფრაკიაში.

ტრაპიზონი, 16 თებ. ბოლგარეთიდან იტყობინებიან, რომ ფრაკიაში აჯანყება გრძელდება. ბოლგარეთის ნაწილები უერთდებიან ოსმალეთისას და დედეაგაჩის და სხვა რაიონებში თავს ესხმიან საბერძნეთის სამხედრო სადარაჯოებს, რომლებსაც დიდ ზიანს აყენებენ; არიან მოკლულები და დაჭრილები.

მოკავშირეთა გემების შესახებ.

ტრაპიზონი. 16 თებერვ. სმირნის და იზმიდის ნავთსადგურებში ისევ იმყოფებიან მოკავშირეთა დიდი სამხედრო გემები. გაზეთი „ენი გიუნი“ სწერს, რომ ოსმალეთის მთავრობა წინანდებურათ დაჟინებით მოითხოვს, რომ მოკავშირეთა სამხედრო გემებმა დასტოვონ სმირნა და იზმიდი და არავითარი საფუძველია, რომ მთავრობამ უარი სთქვას თავის მოთხოვნილებებზე.

სმირნა.

მოსკოვი. 21 თებ. ათინიდან იტყობინებიან, რომ ოსმალეთის კომენდანტმა სმირნაში გამოსცა ბრძანება ლევანტში ყველა მამაკაცთა 18—25 წლამდე მობილიზაციის შესახებ.

საბერძნეთის ცნობებით, სმირნის ნავთსადგურში მოვიდა იტალიის გემი დატვირთული აეროპლანებით და საარტილერიო იარაღებით, რომლებიც შეისყიდეს ოსმალებმა.

ყველა მაიაკები სმირნის ნავთსადგურში ჩამქრალია.

საბერძნეთი

ბერლინი. 20 თებერვ. რომიდან იტყობინებიან, რომ საბერძნეთში მდგომარეობა კრიტიკულია, რადგან ხალხი გამოსთქვამს სამხედრო ავანტიურებისაგან დაღალვას. რადიკალები და ლიბერალები თხოულობენ ზავს რათაც არ უდა დაჯდეს ის და აგრეთვე საბერძნეთის მცირე ანტანტასთან შეერთებას.

საფრანგეთში

გაფიცვის გამწვავება.

ბერლინი. 21 თებერვალი. პარიზიდან იტყობინებიან, რომ გაფიცვები ლუარის და სხვა სანახშირო რაიონებში მეტად გამწვავდა.

საგაფიცვო მოძრაობა იზრდება.

ბერლინი. 21 თებ. საარბრიუგენიდან იტყობინებიან, რომ საგაფიცვო მოძრაობა თან და თან იზრდება. რკინის გზის მრავალი მატარებლები უმოძრაოდ არიან ნახშირის სიმცირის გამო.

მატარებლის დამსხვრევა.

რომი. 21 თებერვ. ენერპეს მახლობლად პარიზ-სტრასბურგის სამგზავრო მატარებლის და საბარგო მატარებლის დაჯახების გამო მოხდა მატარებლების დამსხვრევა. მკვდარია 16 კაცი, დაჭრილია 35.

ინგლისში

ინგლისის პარლამენტის გახსნა.

მოსკოვი. 21 თებერვ. ინგლისის პარლამენტის გახსნის დღისათვის ლონდონში ჩამოდიან უმუშევართა რაზმები. უმუშევართა ლიდერი შეეკითხა სახალხო ჯანმრთელობის მინისტრს, როგორ გადაწყდება უმუშევართათვის საბინაო და კვების საკითხები. მინისტრმა უპასუხა, რომ მან გასცა ინსტრუქციები გაარჩიონ ჩამოსული უმუშევრები, როგორც უსახლონი.

ინგლისის მუშათა პარტიის დეკლარაცია.

მოსკოვი. 21 თებერვ. ინგლისის დამოუკიდებელი მუშათა პარტია გამოქვეყნებულ დეკლარაციაში წინადადებას აძლევს ბრიტანეთის მთავრობას ევროპაში ნორმალურ მდგომარეობის აღსადგენათ მიიღოს შემდეგი ზომები:

რურის ოკუპაციის გაკიცხვა, რეპარაციების ინგლისის წილზე უარის თქმა, მოკავშირეთა შორის ვალების გაუქმებაზე დათანხმება, თუ საფრანგეთი შესაფერისად შეამცირებს რეპარაციების თავის წილს, საბჭოთა მთავრობის სრული ცნობა, საერთაშორისო კონფერენციაზე ვერსალის ხელშეკრულების გადასინჯვა, ერთა ლიგის გადაკეთება „ყველა ხალხთა დემოკრატიულ კავშირად“.

ინგლისის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში.

მოსკოვი. 21 თებერვალი. ბელის თავმჯდომარეობით მოხდა ინგლისის კომპარტიის ცეკას გაფართოებული პლენუმის სხდომა, ადგილებიდან 30 დელეგატის მონაწილეობით. კომინტერნის მეოთხე კონგრესის მუშაობის შესახებ მოხსენების შემდეგ, განხილულ იქნა საკითხი ერთიანი ფრონტის შესახებ. კამათი სწარმოებდა მუშათა ორგანიზაციებისათვის გარკვეულ მოთხოვნილებათა წამოყენების შესახებ, სახელდობრ: არსებულ სამუშაო ხელფასის შენარჩუნება, რვა საათის სამუშაო დღის შენარჩუნება, პროფკავშირთა უმუშევარ წევრთათვის დახმარების მიცემა, არსებულ საბინაო ქირის დატოვება, უსუფთაო უბნების გაჯანსაღება, ქალთა და დიასახლისთა კომიტეტების დაარსება სიძვირესთან საბრძოლველად, ორსულ ქალთათვის დახმარების მიცემა, ბავშვთა კვება.

პლენუმმა აუცილებელ საჭიროდ სცნო ხაზი გაუსვას კომუნისტების მისწრაფებას ერთიანი პროლეტარული ფრონტისკენ და გამოსთქვა იმედი, რომ კომუნისტების წინადადების მიღების თუ უარყოფის შემთხვევაში, მასსები მხარს დაუჭერენ კომპარტიას ძალაუფლების დაპყრობაში.

ბელმა შემოიტანა რეზოლიუცია, რომელიც მოუწოდებდა მუშებს ბურჟუაზიასთან ბრძოლისაკენ, მუშათა მთავრობის დაარსებისაკენ, რომელიც პასუხს აგებს მუშათა მასსების წინაშე:

პარტიულ პროგრამის შესახებ კამათის დროს ბელმა სთქვა, რომ ცეკამ გამოყო ამისათვის სპეციალური კომისია.

გონკპინმა მოხსენება გააკეთა პარტიის ცხრა განყოფილების ორგანიზაციის შესახებ ინგლისის მთავარ სამრეწველო ცენტრებში. ცხარე კამათის შემდეგ გადაწყდა შერჩეს პარტიას ცენტრალურ ბეჭდვითი ორგანოს წინანდელი სახელწოდება „კომუნისტი“.

პოლონეთი და ლიტვა

მდგომარეობა სერიოზულია.

ლონდონი. 21 თებერ. ინგლისის პრესის პარიზელი კორესპონდენტები აღნიშნავენ საფრთხეს, რომელიც ემუქრება ევროპის მშვიდობიანობას პოლონეთის და ლიტვას მხრით. პუანკარემ თავის მოხსენების დროს დეპუტატების პალატაში დახატა პოლონეთსა და ლიტვას შორის მოსალოდნელ ომის მეტად მძიმე სურათი. ვარშავიდან ოფიციალურად იტყობინებიან შესახებ შეტაკებებისა, რომელიც ხდება პოლონეთ-ლიტვას საზღვარზე პოლონელებსა და ლიტველებს შორის.

ლიტვას და პოლონეთის ჯარების შეტაკება.

ბერლინი. 20 თებერვ. ლიტვას ცნობების თანახმად. პოლონეთის რეგულარულმა ჯარმა, დაიკავა რა ორანპის რაიონი, შეიჭრა ლიტვას ტერიტორიაზე, თავს დაესხა ლიტვას ჯარს, რამოდენიმე კაცი მოკლა და 12-დე დასჭრა. ლიტვამ მიმართა ერთა ლიგას პროტესტით.

შორეულ აღმოსავლეთში

ნავთი სახალინზე და კამჩატკაში.

მოსკოვი. 20 თებერ. საკონცესიო კომიტეტის თავჯდომარემ პიატაკოვმა ამერიკის ტელეგრაფის სააგენტოს წარმომადგენელთან ბაასის დროს სთქვა, რომ ჩრდილოეთ სახალინის აღმოსავლეთ ნაპირზე, 350 ვერსტის მანძილზე გრძელდება ნავთიანი ადგილები, რომელთა ექსპლოატაცია რუსეთს, დღევანდელ ეკონომიურ პირობებში, არ ძალუძს. რუსეთისათვის მეტად ხელსაყრელია სახალინის ნავთის საექსპლოატაციოთ უცხოეთის კაპიტალის მოწვევა.

მეორეს მხრით ამერიკელებისთვისაც არის ხელსაყრელი ახალი ნავთიან ადგილების მოპოვება, რადგან ამერიკის საკუთარი ნავთის ადგილები იშრიტება და მოთხოვნილება კი იზრდება. ამ ჟამათ ამერიკის კაპიტალი ყველაზე უფრო მძლავრია და ტეხნიკურათ მოწესრიგებული. ამიტომ ჩვენ, სთქვა პიატაკოვმა, დიდის ყურადღებით მოვეპყარით სინკლერის კომპანიის ხელშეკრულებას და ამ კომპანიის რუსეთის სახალინზე მუშაობისგან მოველით დიდ მნიშვნელოვან და დადებით შედეგებს. მცირე ხნის წინ, ჩვენ მოგვივიდა ცნობები კამჩატკაში ნავთის აღმოჩენის შესახებ. ჩვენთვის სასარგებლოა და ხელსაყრელი ამერიკულ კაპიტალის კამჩატკის ნავთის დასამუშავებლათაც მოწვევა. ამ მხარის კულტურის შექმნა და გაცხოველება ეხლა და ახლო მომავალშიც ჩვენს ძალებს აღემატება. ამიტომ ჩვენ კმაყოფილებით დაუშვებთ კამჩატკაში ამერიკულ კაპიტალს ისე, როგორც დაუშვით სახალინზე.

ვიმედოვნებთ, რომ პრაქტიკული მუშაობა სინკლერისა და სხვა კამპანიებთან კამჩატკაში ჩვენისა და ამერიკის რესპუბლიკებს შორის ნორმალურ და საქმიან ურთიერთობს დაამყარებს.

სრულიად რუსეთის გამოფენისათვის.

მოსკოვი. 20 თებერ. პსკოვის საგუბერნიო გამოფენის კომიტეტმა სოფლებში დასაგზავნათ 5000 ფურცელი დაბეჭდა, რომელშიაც განმარტებული იქნება მიზანი და მნიშვნელობა სრულიად რუსეთის სასოფლო-სამეურნეო გამოფენისა. ფურცლები მოუწოდებენ გლეხებს, წვრილ მწარმოებლებს და კოოპერატივებს მიიღონ მონაწილეობა გამოფენაში.

ხარკოვში დაწესებულია სრულიად უკრაინის გამოფენის კომიტეტი, რომელიც მოამზადებს უკრაინის მონაწილეობას რუსეთის გამოფენაში.

საუბარი ამხ. ჩიჩერინთან

„ფოსიშე ცეიტუნგი და „ბერლინერ ტაგებლატი“ ათავსებენ თავიანთი წარმომადგენლების ინტერვიუს ბერლინში ჩამოსულ ამხ. ჩიჩერინთან ლოზანას კონფერენციის შედეგების და აგრეთვე სრუტეების საკითხის გადაჭრის პერსპექტივების შესახებ.

ამხ. ჩიჩერინის სიტყვით, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ახლო მომავალში ინგლისს და ოსმალეთს შორის სეპარატიული ზავის ჩამოგდების შესაძლებლობა. ინგლისმა კვლავ მიიღო მოქმედების თავისუფლება ოსმალეთის მიმართ ფრანგების ორმაგი თამაშის წყალობით ლოზანაში, სადაც საფრანგეთის ოფიციალური პოლიტიკა ლაპარაკობდა მოკავშირეების ერთიანი ფრონტის შესახებ, ხოლო არაოფიციალურად ცდილობდა მოეპოვებია საფრანგეთისათვის უპირატესობის პოზიცია ოსმალეთში.

„ოსმალეთის დიპლომატიური მდგომარეობა—სთქვა ჩიჩერინმა,—ამ ჟამად ბრწყინვალეა შემდეგი სამიმიზეზის მიხედვით: 1) ყოველგვარი ომის საფრთხის შეუძლებლობა; 2) თანხმოება ოსმალეთის მოწინააღდეგეებს შორის და 3) მისი მეგობრობა საბჭოთა რუსეთთან“.

როგორც ამხ. ჩიჩერინმა აღნიშნა, კონფერენცია არ ჩაშლილა, არამედ შევიდა ახალ სახელდობრ სხვა და სხვა მთავრობების ერთი-მეორესთან დიპლომატიური მოლაპარაკების სტადიაში.

სრუტეების საკითხის შესახებ ამხ. ჩიჩერინმა აღნიშნა, რომ რუსეთის დელეგაციის დეკლარაცია, რომელიც იცავდა რუსეთის თვალსაზრისს ამ საკითხში, არ დარჩენია უშედეგოდ. არა მარტო იტალია და საფრანგეთი გრძნობენ სამხედრო გემებისათვის სრუტეების გახსნის საფრთხეს, არამედ აგრეთვე ინგლისელი ლიბერალები, ისევე, როგორც მუშათა წრეები ამ ჟამად აღიარებენ, რომ კერზონის თეზისი გამოიწვევს ახალ შეიარაღებას, ახალი გადასახადის სიმძიმეს და ახალი ომის საფრთხეს. ამ რიგად უკვე მომზადებულია ნიადაგი სრუტეების საკითხის ერთად-ერთი სალი, სახელდობრ რუსეთის მიერ წარდგენილი ზომებით გადაჭრისათვის.

რაც შეეხება რურის საკითხს, ამხ.
ჩიჩერინის აზრით, საეჭოა,
კატასტროფამდე მიგვიყვან
ბად, ის გადაიჭრება საფრ
და გერმანიის უშუალო შეთ
გზით.

დასასრულ ამხ. ჩიჩერინმა
ხადა, რუსეთის ცდა შუა დ
ლეთ ევროპასთან ნორმალური
ნომიური ურთიერთობის აღდ
თვის, ძლიერ ფერხდება ფ
ბის მიერ რურის დაკავების გ

ბერლინში ყოფნის დროს
ჩიჩერინს ხანგრძლივი საუბარი
და აგრეთვე გერმანიის გარეშ
მეთა მინისტრთან—როზენბერ

წითელი ტელეგრამები

რუსეთი

მუშებისათვის კრედიტის მიცემა.

მოსკოვი. 21 თებ. კიევის საგუბერნიო აღმასრულებელ კომიტეტმა გადასცა მუშათა კოოპერატივების კავშირს 300,000 მან. ოქ. სესხის სახით მუშებისათვის კრედიტის მისაცემათ.

„ოქტომბრის რევოლიუციის“ სახელობის არხი.

მოსკოვი. 20 თებ. მიწად-მოქმედების კომისარიატმა შრომის და დაცვის საბჭოს წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რათა მას, დაღესტანის რესპუბლიკაში ოქტომბრ. რევოლიუციის სახელობის დიდი სარწყავი არხის დასამთავრებლად, მიეცეს 350.000 მანეთი ოქროთი. არხი მორწყავს 60 დესიატინა მიწას. არხის დამთავრება განზრახულია 1923 წლის შემოდგომისათვის.

უკრაინის სკოლები.

მოსკოვი. 20 თებ. სკოლების მდგომარეობა უკრაინაში თვალსაჩინოდ გაუმჯობესდა. ყველგან ადგილობრივათ იკრიბება თანხები სახალხო განათლების სასარგებლოთ.

ანაფორები თეატრისათვის.

მოსკოვი. 20 თებ. სოფ. ლუგოვიკის (პოლტავის გუბერნია) საეკლესიო საბჭომ, სოფლელთა მოთხოვნილებით, სოფლის თეატრს ტანთსაცმელების შესაკერავათ 10 ანაფორა გადასცა.

საბჭოთა მართლმსაჯულება.

მოსკოვი. 20 თებ. კუსტანაისკის რევოლიუციონურმა ტრიბუნალმა დახვრეტა მიუსაჯა საგუბერნიო სოციალურ უზრუნველყოფის გამგეს კოტელნიკოვსა და მის თანამშრომელ
მურზინს სახალხო ქონების გაძ
სათვის.

უცხოეთის საქონლების გა

მოსკოვი, 20 თებ. ჩრდი
დასავლეთის სახელმწიფო ვაჭ
კომისარიატთან იხსნება უც
ტეხნიკურ საქონლების მუდმივ
ფენა. მიღებულია ექსპონატები
ციის, ნორვეგიის და გერმანი
რმებიდან.

მუშათა ფაკულტეტების ყრ

მოსკოვი. 20 თებ. უმაღლეს
ფესიონალურ განათლების
ფაკულტეტების განყოფილე
გემ ეჯიბრევმა მუშათა ფაკულტ
ყრილობას მოახსენა ფაკულტ
ქსელის ახლო მომავალში გაფა
ბის შესახებ. სტუდენტთა რიც
ბა მიაღწევს 50.000 კაცამდე
უზრუნველყოფს უმაღლეს სასწ
ლებში მიღების 50 პროც.
ფაკულტეტებზე მიღების დრო
ტიკათ დაცულია კლასობრივი
ციპი. ფაკულტეტების მოსწ
რიცხვს შეადგენენ: მუშები
მიწამფლობელობი—25 პროც.
ფიზიკურ შრომის პირების—
მოსკოვის მუშები შეადგენენ
რომელთა შორის 52 პროც.
ნისტებია.

სასახლე მუშებისათვის

მოსკოვი. 20 თებ. სოკ
საბჭოს პრეზიდიუმმა დაად
შებისათვის სასახლის აშენ
გადასდოს 5.000 მან. ოქრო
სახლისათვის მიკუთვნებულია ს
„სასახლე—ოქტომბრის რევოლ
სახელობის, სოკოლნიკის რ
მუშათა სადგომი“.

კომინტერნი და იტალიის სოციალისტური პარტია

იტალიის სოციალისტურ პარტიის ბედი საბოლოოდ სწყდება მომავალ ყრილობაზე მარტში. ისინი, ვინც ფიქრობდენ, რომ კომინტერნის 4 კონგრესის გადაწყვეტილებებმა საბოლოოდ გადასჭრა იტალიის საკითხი, გადაჭარბებულ ოპტიმიზმს იჩენენ.

იტალიის სოციალისტურ პარტიის შორის ორი მიმდინარეობა წარმოიშვა: „ფუზიონისტების“ (იტალიის კომუნისტებთან გაერთიანების და კომინტერნში დაუყოვნებლივ შესვლის მომხრენი) და „ანტიფუზიონომისტები“ (იტალიის კომუნისტებთან გაერთიანების წინააღმდეგნი), ამ უკანასკნელის შესახებ გვინდა ვესაუბროთ მკითხველს ამ წერილში.

რამდენადაც შესაძლებელია შორიდან ამის დანახვა, ანტიფუზიონისტების ბანაკი თავის მხრით ამ ჟამად კიდევ 4 ჯგუფად განიყოფება:

1) კეთილ სინდისიერი რევოლიუციონერები, რომელნიც ილაშქრებენ კომუნისტებთან გაერთიანების წინააღმდეგ თავიანთი ძველი პარტიისადმი პატივისცემის გამო, რომელშიაც თვითეულმა მათგანმა მრავალი წლები იმუშავა. მათ არ უნდათ შეელიონ „იტალიის სოციალისტურ პარტიის“ სახელწოდებას. ისინი ჯერ კიდევ განიცდიან შთაბეჭდილებას იტალიის კომუნისტების წინააღმდეგ გატარებულ ბრძოლისას, რომელიც რამდენიმე თვის წინად სწარმოებდა. ისინი თავისებურად ისეთივე დოქტრინიორები არიან, როგორც იტალიის კომუნისტური პარტიის ზედა ფენები.

2) გადაჭარბებულად ფრთხილი ამხანაგები, რომელნიც ფიქრობენ, რომ თუ დაუყოვნებლივ არ გაერთიანდენ იტალიის კომუნისტებთან, ამით ისინი დაიცავენ თავის პარტიას მუსოლინის რეპრესიებისაგან. არა პირადი სიმხდალის, არამედ იმის გამო, რომ გადაარჩინონ პარტია ფაშისტურ დევნისაგან, ეს ამხანაგები მზად არიან დროებით ჩამოშორდენ კომინტერნს და მოუწოდებენ თავის პარტიას არ გაერთიანდენ კომუნისტებთან.

3) კომუნიზმის პრინციპიალური მოწინააღმდეგენი,—ნახევრად რეფორმისტები, ნახევრად ცენტრისტები, ხალხი, რომელნიც ზოგჯერ ძალიან მამაცები არიან, მაგრამ არ აქვთ უნარი შეითვისონ კომუნიზმის იდეები და ტრიალებენ ვიწრო-მეშჩანურ იდეების წრეში, რომელსაც არავითარი საერთო არ აქვს კომინტერნთან. ასეთი ხალხი ბლომად მოიპოვება იტალიის სოც. პარტიის ზედა ფენებში.

4) ჩვეულებრივი კარიერისტები და მხდალები დღევანდელ იტალიის მუშებისათვის მძიმე მომენტში გარემოებათა მიხედვით, ზემოთ ამოტივტივდნენ.

რაც შეეხება მესამე და განსაკუთრებით მეოთხე ჯგუფს, მათთვის ჩვენ განკარგულებაში დამაჯერებელი საბუთები არ მოიპოვება. რაც უფრო ადრე ჩამოშორდება იტალიის სოციალისტური პარტია ამ ასე ვსთქვათ, „ამხანაგებს“, მით უფრო უკეთესი იტალიის პროლეტარიატისათვის. მაგრამ ამხანაგების პირველ და მეორე ჯგუფს ჩვენ შევეცდებით მოველაპარაკოთ.

პარტიის სახელწოდება! თვითეულ ძველ რევოლიუციონერისათვის გასაგებია იმ პარტიის სახელწოდებისადმი პატივისცემა, რომლის დროშის ქვეშ ის მრავალ წლების განმავლობაში იბრძოდა. დიახაც! ამ სახელწოდებასთან დაკავშირებულია გამარჯვებანი და დამარცხებანი, შესაძლოა ციხეებში განვლილი წლები და ცხოვრების უკეთესი იმედები. ამხ. ლაძარი ამ მხრივ ცოცხალი მაგალითია. მაგრამ მაინც ასეთი ძველი რევოლიუციონერისათვის გამოინახება ზოგი რამ ისეთი, რაც უფრო მნიშვნელოვანი იქნება, ვიდრე პარტიის სახელწოდება. რუსეთის კომუნისტებსაც 1917 წლამდე ქონდათ „რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის“ სახელწოდება, ამ სახელწოდებასთან დაკავშირებული იყო მრავალ ათეული წლების მუშაობა, ტრადიციები, შეთვისება და სხვა. მაგრამ მიუხედავათ ამისა, როდესაც დადგა დრო, საბოლოვოდ ჩამოვშორებოდით ანტიკომუნისტურ და ანტიპროლეტარულ ელემენტებს, რომელნიც ჯერ კიდევ ითვლებოდენ ჩვენ საერთო ბანაკში, რუსეთის ბალშევიკებმა არ დაიწყეს ყოყმანი უარეყოთ ძველი და მიეღოთ ახალი სახელწოდება „კომუნისტური პარტიისა“.

ასეთივე ხანა გაიარეს გერმანიის დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატიული პარტიის მემარცხენე ფრთის ამხანაგებმა, პალეში მოწვეულ ყრილობის შემდეგ ამ მარცხენა ფრთაში იყო რამდენიმე ასეული ათასი ამხანაგი. ზოგიერთი მათგანი აგრეთვე შეეჩვიენ და შეეთვისენ პარტიის სახელწოდებას. გერმანიის დამოუკიდებელ პარტიის მარცხენა ფრთა, პალეს შემდეგ შეუერთდა მცირე რიცხოვან კომუნისტურ პარტიას, რომელსაც გაცილებით ნაკლები წევრი ჰყავდა, ვიდრე მემარცხენე დამოუკიდებლებს. და მაინც მემარცხენე დამოუკიდებლები უნდა დასთანხმებოდენ და დასთანხმდენ კიდეც, რომ ახალი პარტიის სახელწოდება შეცვლილი ყოფილიყო—გაერთიანებულ კომუნისტურ პარტიის სახელწოდებით. ნუ თუ იტალიის ამხანაგებს ყველა იმ გაკვეთილების და წამების შემდეგ, რომელიც წილად ხვდა იტალიის პროლეტარიატს, შეაფერხებს ეს უბრალო საქმე და ამით სარგებლობას მოუტანს იმ ელემენტებს, რომელნიც შეგნებულად უშლიან ხელს იტალიის სოციალისტურ პარტიის კომინტერნში შესვლას?

ყალბ გზაზე დგას დასახელებულ ამხანაგების მეორე ჯგუფიც. რა თქმა უნდა თვითეული ჩვენგანის მოვალეობაა ვიფიქროთ იმაზე, როგორ დავიცვათ ჩვენი პარტია იმ რეპრესიებისაგან, რომლის თავიდან აშორება შესაძლებელია. და ჩვენ ვერ ვხედავთ ვერაფერს ისეთს, რაც ჩირქსა სცხებს რევოლიუციონერის სახელს იმაში, რომ ზოგიერთი იტალიელი ამხანაგები, თუ ისინი ამას აშკარად არ ამბობენ, ყოველ შემთხვევაში ფიქრობენ ამ საკითხზე. მაგრამ სწორია თუ არა ვარაუდი? მართლაც მოხდება ისე, რომ თუ იტალიის სოც. პარტია არ გაერთიანდა იტალიის კომუნისტებთან, და მაშასადამე არ შევიდა კომინტერნში, მუსოლინი უარს იტყვის თავის რეპრესიებზე იტალიის სოც. პარტიის წინააღმდეგ? თავის თავად ცხადია ეს არ არის მართალი. ბატონმა მუსოლინიმ მშვენივრად იცის ყველა მიმდინარეობანი იტალიის სოციალისტურ ბანაკს შიგნით. ის თვით გამოვიდა ამ წრიდან. ის არის იტალიის სოციალიზმის რენეგატი, ბ-ნი მუსოლინი, შესაძლოა უარს იტყვის რეპრესიებზე იტალიის სოც. პარტიის წინააღმდეგ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იტალიის სოც. პარტია საქმით დაამტკიცებს თავის რეფორმისტობას. რაც დღეს იტალიაში ხდება, არის ნამდვილი **ბლოკი ფაშისტებისა და რეფორმისტებს შორის,** თუ ამ ბლოკში შესვლას მოისურვებდა იტალიის სოც. პარტია, მაშინ შესაძლებელია მუსოლინი რისხვას მოწყალებით შესცვლიდა. მაგრამ ამისათვის იტალიის სოციალისტებს მოუხდებოდათ ბარიკადის მეორე მხარეზე გადასვლა, მუშების გაცემა და მუსოლინის დუდუკზე თამაში. წვრილმანი მლიქვნელობა არ გამოდგება. რა თქმა უნდა იტალიის სოციალისტებმა უნდა დამალონ ყველაფერი, რის დამალვაც შეიძლება. ომში სამხედრო ხერხი, უსათუოთ დასაშვები და საჭიროც არის. მაგრამ არის ისეთი საკითხები, რომელშიაც ოინები არ გამოდგება, წინააღმდეგ შემთხვევაში თვით დარჩები მოტყუებული.

ორივე პირველ ჯგუფებს აქვთ კიდევ ერთი საბუთი „ახალი განხეთქილებანი“—ამბობენ ისინი. ნუ თუ ეს ეხლა დასაშვებია? ველლა და ნენნიც გათიშვით იმუქრებიან. ისინი არ დაემორჩილებიან გადაწყვეტილებას იტალიის კომუნისტებთან გაერთიანებას და კომინტერნში შესვლის შესახებ.

ამაზე ჩვენ უპასუხებთ: შეხედეთ საფრანგეთის კომუნისტური პარტიის მაგალითს. დიდი ხანი არ არის, რაც იგი დაუძლეველ კრიზისს განიცდიდა. მთელი თვეობით გრძელდებოდა კონფლიქტი. პარტია უმოქმედობას განიცდიდა, ინტელიგენტურ წინამძღოლების ჯგუფს ფროსარის, ლაფონის და კომპ. მეთაურობით მიჰყავდა პარტია კომინტერნთან გათიშვისაკენ და ხელს უშლიდა ყოველგვარ რევოლიუციონურ მუშაობას და ფრანგი ამხანაგების მთელი რიგი, რომელიც სრული ერთგული იყო კომინტერნის, აჭიანურებდა კრიზისს, არ სურდა რა ახალი განხეთქილება და გათიშვა იმის შიშით, რომ ამას ვერ აიტანდა პარტია.

ხოლო როდესაც ფრანგმა ამხანაგებმა გამოიჩინეს გამბედაობა და გასწყვიტეს კავშირი რეფორმისტებთან და კარიერისტებთან და გამოეთიშენ ფროსარის, ლაფონის და მათი კომპანიის ჯგუფს, ამით პარტ არა თუ არ დაიღუპა, არამედ გაძლიერდა და განმტკიცდა. საფრანგეთის პარტიამ განვლო კრიზისი იმის შემდეგ, როდესაც მან თავიდან მოიშორა ის ბელადები, რომლებიც არ იყვნენ და არც შეიძლებოდა ყოფილიყვნენ კომუნისტები. საფრანგეთის კომუნისტური პარტიის პრესტიჟი ამჟამად უზომოდ მაღალია. საუკეთესო მუშები კვლავ შედიან პარტიაში. პარტია ანვითარებს შესამჩნევ პოლიტიკურ აგიტაციას.

ფროსარი და ლაფო პარტიის შიგნით ასრულებდენ საბოტაჟნიკების მუშაობას, რაც ხელსაყრელია მხოლოდ ბურჟუაზიისათვის. მოიშორა რა საბოტაჟნიკები, პარტია არა თუ არ დაუძლურდა, არამედ გაძლიერდა. ასევე იქნება უეჭველად იტალიაშიაც.

მაგრამ თქვენ მოსპობთ იტალიის სოციალისტურ პარტიას—სწერს ნენნი იმ ამხანაგებს, რომლებიც არა სიტყვით, არამედ საქმით ემხრობოდენ კომინტერნს. არა მოქალაქე ნენნი, იტალიის სოციალისტურ პარტიას ისე სხვა არავინ ასპობს, როგორც თქვენ. ის არ სპობს იტალიის სოციალისტურ პარტიას ვინც ურჩევს მას შეუერთდეს რევოლიუციონური პროლეტარიატის სხვა რაზმებს, დაარსოს გაერთიანებული კომუნისტური პარტია, ისე იგი განაგრძნოს იტალიის სოციალისტური პარტიის საუკეთესო ტრადიციები, იტალიის სოციალისტურ პარტიას ნამდვილად სპობთ თქვენ, ვინაიდან თქვენ მიგყავს ის იქითკენ, რომ პარტია დაქუცმაცდება რამოდენიმე უმნიშვნელო ჯგუფებად და აღარ იარსებებს, როგორც მთლიანი ერთეული. სხვა სიტყვებით, რომ ვსთქვათ, თქვენ სჩადიხართ იმას, რაც სასარგებლოა მხოლოდ იტალიის სოციალისტური პარტიის უბოროტეს მტრებისათვის.

სამწუხაროდ, თვით იტალიის კომუნისტური პარტიის სათავეშიაც აღმოჩნდენ ამხანაგები, რომლებმაც ვერ შეითვისეს იტალიის სოციალისტური პარტიის კომპარტიასთან გაერთიანების აუცილებლობა. ნიძლავს ვდებთ, რომ 100 მუშა, კომპარტიის წევრი, მოისმენენ რა ჩვენ დებულებებს, მინიმუმი 99 მიემხრობა გაერთიანებას იმ სოციალისტებთან, რომლებიც ემხრობიან კომინტერნს. და პირიქით, 100 სოციალისტ-მუშიდან, ალბად, არა ნაკლები 99-სა მომხრე იქნება კომუნისტებთან გაერთიანების. ხოლო თვით კომპარტიის სათავეში აღმოჩნდენ გაყინული დოგმის მომხრენი, რომლებიც კმაყოფილებას გრძნობენ იმის გამო, რომ ნენნი საბოტაჟს უცხადებს გაერთიანებას. ბრმებს ისინი ვერ ამჩნევენ. რომ ნენნის მოქმედება საუკეთესო დამტკიცებაა, მეოთხე კონგრესის სიმართლის და გაერთიანების აბსოლიუტური აუცილებლობის.

ცხადია, იტალიის მუშა-სოციალისტებს მძიმე მომენტში უხდებათ თავისი პარტიის ბედის გადაწყვეტა. მაგრამ ჩვენ მაინც იმედი გვაქვს, რომ გადაწყვეტილება მიღებული იქნება სისწორით. სხვა გვარად დიდი ხნით ჯვარი უნდა დავასვათ მთელს იტალიის სოციალისტურ პარტიას.

კიდევ რა გაკვეთილები ესაჭიროება იტალიის სოციალისტური პარტიის წევრებს? გამარჯვება ერთხელ უკვე მათ მხარეზე იხრებოდა ძლიერი მოძრაობის წლებში. მომენტი უკვე ხელიდან გაუშვეს და ამ ჟამად მუშებს სისხლის ფასად უჯდება ეს შეცდომა. იტალიის მუშების მდგომარეობა ისედაც საკმაოდ მძიმეა. ნუ თუ ეს სიმძიმე კვლავ გაღრმავდება ახალი შეცდომებით?

კმარა სექტანტობა!
კმარა გათიშვა!
კმარა აგრეთვე წარსულის მ
ბანი.

ჭეშმარიტი რევოლიუციო
იცქირებიან არა უკან, არამ
დიან, ჩვენ გაცხარებით ვე
და ენერგიულად ვიბრძოდით
ტის წინააღმდეგ, როდესაც
მინტერნის წინააღმდეგ ილაშ
ხოლო ეს კომინტერნის მეოთ
გრესის გადაწყვეტილებების
ები, მათ შორის ამხ. სერატი
თანამგრძნობები და მეგობრ
მუნისტურ პარტიასთან გაერთ

კომინტერნის საშუალებით
ლება ისეთი მდგომარეობის
რომელითაც ძველი ბრძოლა
ლა-შემოხლა აღმოფხვრილი
ახლო მომავალში. მჭიდრო
დვილი ძმური გაერთიანება
იმათი, ვინც დარჩა წითელი
ერთგული—აი იტალიის საჭირ
ტო საკითხი. იტალიის შეგნ
მუშებო! თქვენვე გადასწყვიტ
ნი პარტიის ბედი. მხოლოდ
ტერნის მეოთხე კონგრესის
ყვეტილებები გიჩვენებენ თქვე
გზას.

გადალახეთ ფორმალური ხ
რომელსაც ავრცელებენ კომინ
მოწინააღმდეგეები, და გად
სასწრაფო საკითხი. ვინ კომ
სათვის,—ვინ ფაშიზმისათვის
ლოდ ასე სდგას საკითხი
ლიაში.

გ. ზინოვ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასურ. გადასახადის კამპანია

კიდევ ასი პროცენტი.

როგორც ამიერ-კავკასიის სახალხო სასურსათო კომისარიატის საქართველოს რწმუნებულის სამმართველოს ატყობინებენ, ქუთაისის მაზრამ უკვე გადაიხადა მთელი ასი პროცენტი მასზე შეწერილ გადასახადისა. ამ მაზრას შეწერილი ჰქონდა 67,500 ფუთი სიმინდის ერთეული.

სულ რამდენია აკრეფილი დასავლეთ საქართველოში?

ოფიციალურ დოკუმენტალურ ცნობით, თებერვლის 21-სთვის 1922 წლის სასურსათო გადასახადის ანგარიშში დასავლეთ საქართველოს შვიდ მაზრაში შეგროვილია 277.605 ფუთი სიმინდის ერთეული, ანუ 93,9 პროცენტი ამ მაზრებზე შეწერილ გადასახადისა.

ამ რიგად ასაკრეფია კიდევ 6.1 პროცენტი, ანუ 17.895 ფუთი სიმინდის ერთეული.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

საქართველო.

აფხაზეთი.

გუდაუთის არყის სახდელი ქარხნის ამუშავება. აღრიცხვაზე აღებულ არაყის სახდელ 3 ქარხნიდან აგვისტომდე მუშაობდა მხოლოდ ერთი—გუდაუთში, მაგრამ ისიც დაიწვა ცეცხლთან გაუფრთხილებლობით. ის საჭიროებდა უმნიშვნელო შეკეთებას, მაგრამ ეს გაჭიანურდა 6 თვეს. ახლო ხანებში ქარხანა კვლავ აამუშავეს. ამ დღეებში სოხუმის ცენტრალურ საწყობში მოიტანეს იქ დამზადებული 100 ვედრო სპირტი, 75 გრადუს. 30 ვედრო. ერთი ვედროს დამზადება დაბეგვრით და ხარჯებით დაჯდა დაახლოვებით 3 მილ. მან. ნედლ მასალათ იხმარება სასურსათო გადასახადით აკრეფილი ღვინო. ქარხნის გამგის მოხსენების გამო, საბრუნავ საშუალების სიმცირის გამო ქარხანას მიეცა ავანსათ 100 მილ. მან. და საქონელი გადასაცვლელად და განზრახულია მიწოდების სიძნელის გამო წარმოების მაზრებში მოწყობა.

პარტიული ცხოვრება

ქალ. ტფილისის და მისი მაზრის კომუნისტურ ორგანიზაციების მე-4 კონფერენცია

20 თებერვალს, საღამოს 7-ს ნახევარ საათზე სასახლის თეთრ დარბაზში გაიხსნა ქალ. ტფილისის და ტფილისის მაზრის კომუნისტურ ორგანიზაციების მე 4 კონფერენცია. კონფერენციის პრეზიდიუმში ერთხმად არჩეულ იქნა შემდეგი 9 ამხანაგი: მიხა ცხაკაია, მამია ორახელაშვილი, კახიანი, ლადო სუხიშვილი, კოჩეტკოვი, იტრიევი, ივანოვი, ვრაჩოვი, ქილენტი.

სამდივნოში—აკოპოვი, ხაცკევიჩი, ქორიძ. სამანდატო კომისიაში—ქავთარაძე ლადო, ნაზაროვი, ვართაპეტოვი. კონფერენციამ მიიღო შემდეგი დღის წესრიგი:

1. საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტის და სარევიზიო კომისიის ანგარიში.
2. საქართველოს კომპარტიის მორიგი ამოცანები.
3. ახალ ეკონომიურ პოლიტიკის შედეგები და საქართველოს სამეურნეო აღმშენებლობის უახლოესი მიზნები.
4. არჩევნები.
5. მიმდინარე საქმეები.

კონფერენციამ მოისმინა ტფილისის კომიტეტის პოლიტიკური და საორგანიზაციო ანგარიში. მომხსენებლად გამოვიდა ამხ. მიხ. კახიანი. მოხსენების შემდეგ კონფერენციამ ერთხმად მიიღო შემდეგი შინაარსის რეზოლიუცია: მოისმინა რა ტფილისის კომიტეტის ანგარიში, ქალ. ტფილისის და ტფილისის მაზრის კომუნისტურ ორგანიზაციების მე 4 კონფერენცია ტფილისის კომიტეტის პოლიტიკურ ხაზს სთვლის სავსებით სწორად, საორგანიზაციო და სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობას—დამაკმაყოფილებლად და გადადის მორიგ საკითხებზე.

კონფერენციის შემდეგი სხდომა შესდგება 21 თებერვალს, საღამოს სრულ 5 საათზე.

(ტფილისის კომიტეტის ანგარიში მოთავსებული იქნება შემდეგ).

ახალგაზრდათა კომკავშირში

ა. კ. კ. გამომცემლობა

ახალგაზრდათა კომკავშირის ცეკას მიერ ამ უკანასკნელ ხანებში დიდი ყურადღება ექცევა კავშირის ბეჭდვითი საქმეს. ს. ა. კ. კ. მე-2 ყრილობამ სხვათა შორის აღნიშნა უდიდესი ყურადღების მიქცევის აუცილებლობა კავშირის გამომცემლობისთვის. მან მოითხოვა ახლად არჩეულ ცეკასაგან კავშირის გარეთ მასსისთვის ყოველგვარი გაზეთის გამოშვება, აქტიურ მომუშავეთათვის არსებულ ჟურნალ „მომავლის“ ძირითადი შეცვლა და ახალგაზრდათა ლიტერატურის სერიის გამოცემა. რასაკვირველია გამომცემლობის სათანადო სიმაღლეზე დაყენებას დიდი სარგებლობის მოტანა შეეძლო კავშირისთვის, ის ხელს შეუწყობდა კავშირის მასსის პოლიტიკურ გათვითცნობიერებას და მის პოპულიარიზაციას. უნდა ითქვას სიმართლე, რომ ცეკამ, მიუხედავათ მრავალგვარი ცდისა, მეორე ყრილობის დადგენილების ცხოვრებაში გატარება კარგა ხანს ვერ შესძლო. უმთავრესი დაბრკოლება მდგომარეობდა მასში, რომ სამეურნეო ანგარიშიანობას ჯერ კიდევ ვერ შეჩვეოდა კავშირი და რამოდენიმედ ქონდა ადგილი თვით პრესისადმი ერთგვარ გულცივობას კავშირის მხრივ. მაგრამ ეს მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელებულა. უკვე ნოემბრიდან 1922 წელს ცეკას ბეჭდვითი ბიურომ შესძლო გამომცემლობისთვის გარკვეული სახის მიცემა.

ნოემბრიდან იწყო გამოსვლა ყოველკვირეულმა გაზეთ „სპარტაკმა“ და ყოველთვიურ საპოლიტიკო-სამეცნიერო სალიტერატურო ჟურნალ „მომავალმა“. გაზეთს მიეცა მასსიური ხასიათი, ე. ი. დღეს „სპარტაკი“ სავსებით აკმაყოფილებს კავშირის იმ მასსის მოთხოვნილებას, რომელიც პოლიტიკურ და კულტურულ მომზადების დაბალ საფეხურზე იმყოფება.

ჟურნალმაც დიდათ შეიცვალა ხასიათი. მასში გრძელ და ერთფეროვან წერილების მაგივრად თავსდება მასალები, ლიტერატურის, პოლიტიკის და მეცნიერების დარგებიდან.

№ 9-დან, ე. ი. თებერვლის ნომრიდან, რომელიც გამოვა 25 თებერვლისათვის, ძირითადათ შეიცვალა და იცვლება ჟურნალ „მომავლის“ ხასიათი.

თებერვლის ნომრიდან ჟურნალი შეიცავს არა ნაკლებ 60 გვერდისა და აქვს შემდეგი განყოფილებანი: 1) პოლიტიკური, 2) ლიტერატურული, 3) თეორეტიულ-მარქსისტული, 4) ახალგაზრდა საერთაშორისო მოძრაობა, 5) კავშირის აღმშენებლობა, 6) მუშათა ახალგაზრდობის შრომისმდგომარეობის და განათლების კითხვები, 7) ძველ მებრძოლთა ცხოვრება, 8) მეცნიერული, 9) სპორტი, 10) იუმორისტული განყოფილება, 11) კრიტიკა და ბიბლიოგრაფია და სხვ.

ლიტერატურული განყოფილების ხელმძღვანელობა დაეკისრა პროლეტარულ პოეტებს და კერძოთ ამხ. **სანდრო ეულს**.

ნოემბერში გამოცემულ იქნა ამხ. ჩიჩერინის საუკეთესო შრომა ახალგაზრდათა მოძრაობის შესახებ **„ნარკვევი ახალგაზრდათა ინტერნაციონალის ისტორიიდან“**.

უდიდესი ყურადღება ექცევა ახალგაზრდათათვის გასაგებ ლიტერატურის შექმნას. მიმდინარე წლის აპრილამდის გამოცემული იქნება 10-მდე ბროშურა. გამოვიდა უკვე ქართულ ენაზე დასურათებით შემდეგი წიგნაკები:

1) „ობოლი ვანო“—მაშაშვილისა, 2) მალარო „ძია თომა“—კელერმანისა და 3) „ბნელი გზით“—ნ. პ.

ერთი სიტყვით ა. კ. კ. ცეკას ბეჭდვითი ბიურო სერიოზულად მოეკიდა კავშირის გამომცემლობას. კავშირის ორგანოები გამოძახილს პოულობენ. მატერიალური დახმარება კავშირისაგან იზრდება.

დ.

ცეცხლის ქარია

I.

ქარის ქროლვა მაშინ დაიწყო,
ცა ორგია ღამეს ართობდა,
ოს ეს სამყარო ორათ გაიყო,
და აგონია სიცოცხლეს ფლობდა.

—

სულში ნაღველი ჩამოწვა მთებათ
და გადავფურცლეთ აბომინარი,
ზარებს ჩამოკრეს გლოვისა ხმებათ,
სისხლს შეუერთეს ცრემლისა ღვარი.

—

მაშინ თორმეტჯერ დაჰკრა საათმა,
გორიაზე ჩვენ გავემგზავრეთ,
ბრბო ახმაურდა მთების გადაღმა,
ჩვენ გადმოღმიდან გადაუარეთ.

—

ურ პოლიუსზე ორი სიცოცხლის
დარაჯეა შავი უფსკრული,
ი აჩრდილი ხმალით დამოკლის
ჩვენი სული შორს გახიზნული.

—

ოებს არ ახსოვთ ეს ისტორია:
დაგვავიწყდა ჩვენ ბევრი კიდევ,
ცოდეთ ყველამ: სული-ორია,
ზღვარი! ყოფნა-არყოფნის ხიდი.

—

ში დაგუბდა ნისლი მხრჩოლავი,
ვილ-ზუზუნით დაჰქროდა ქარი,
ამის წყვდიადში სულები ავი
გვეძახდენ: „თუ გიხსნით ჯვარი“!

—

ო, ინგერონა, შენ მაშინ თხზავდი
ახალ ჰანგებსა ახალ ლოცვების,
მ დროს ფიქრთ მთაო, ჩამოგვიშვავდი,
მოგვირიყე სული ლოდებით.

—

მაშინ არ გვყავდა ჩვენ აბეონა,
თქმის ქვეყანაც არ დაგვესახა,
ოდამ მონობა—წესი გვეგონა,
ებს რა შეგვეძლო, რომ დაგვენახა.

—

ლი სულს კბენდა ასფალტის ფერი
ენება მეფე აიდეს,
ებს შეუერთდა სისხლის ჩანჩქერი,
ბრძანებდა: „ყველა სისხლს ღვრიდეს“.

თვისკენ გვიხმობდა მეფე აიდეს:
„გესმით, მოხუცი გამახალგაზდეთ,
„თორემ ჩემს რისხვას ველარ აიცდენთ,
„ავათამაშებ თქვენს სულებს ხმალზე!.

—

ზიზღი აიდეს! უთხარით უარი!
კვლავ ბომინარში ჩავწეროთ კრულვა,
როდის ვიქნებით პირ მომცინარი,
რომ არ ეუფლოს სულს მწარე ურვა.

—

საკაცეს ვხმარობთ ბალდახინებათ,
ყველგან ვშოულობთ სასაფლაოებს
კუბოებშიც კი ვართ ნაგონები,
ჩვენი ელოდათ ბედი ჩვენს ობლებს.

—

სასახლეებში: ვაკხანალია,—
ადანაი განაგრძობს ლხენას,
იქ ჩვენებისთვის არის გალია,
ტაში დაუკრეს იქ აზრებს ქვენას.

—

გულს ჩავილახვრეთ გაჩენის დღენი
ხვრელებში ყოფნა შეგვძულებია,
ალქატი იყო სახელი ჩვენი,
რომ ჩვენზე ყველას ეუფლებია.

—

ზეცის სიცილსა მოვკარით თვალი,
ძლიერი იყო ცის დახველება:
ჰექა-ქუხილით, ელვის ისარით
ცას მოესურვა მიწის წვალება.

—

ჩვენს პლანეტაზე ცეკვა გავმართეთ,
მაგრამ წყვდიადი გვესროდა ბადეს,
ცეცხლის სვეტები ცამდის ავმართეთ
და ეხაროდათ ჩვენების ლანდებს.

—

გალმა პოლიუსზე ყიჟინი მორთეს:
ბებერმა მიწამ დაიღრიალა:
„სიკვდილი მონებს! გესმის აიდეს?!
და ზეცას თვალი დაუბრიალა.

—

და ალხებივით ვიმალებოდით,—
მთებო იტირეთ თქვენც ჩვენი კვნესით!
ვერაფერს გავხდით წყევით და გმობით,
ცეცხლის ქარს მივცეთ დამპალი წესი!

II

დღეს გვესტუმრება აქ ერინია,
ო, ერინია, შენი ვართ ყველა!
კიდევ შორს არის ჩვენი ლხინია
გულს ჩავიკალით ჩვენ ბედის წყევლა.

—

გულში აინთე შურისძიებავ,
აჯანყებისთვის ვემზადებოდეთ,
ო, რა კარგია სულის ძიება,
გოლიათებათ რომ გავხდებოდეთ.

—

ჩვენი ბავშვები ნატრობენ სიცილს,
სულსაც სწყურია აელვარება,
ჩვენ აღარ გვახსოვს ცოლი და შვილი
თუ გადავრჩებით—გაეხარებათ.

—

და ჩვენთან არის დღეს აბეონა,
დანისლულ გზებში არ დავიბნევით,
სიკვდილს სიცოცხლე გადაეკონა,
სამყაროს გულზე ცეცხლათ ვინთებით.

—

თუ მეთაურობთ ჩვენების ლანდებს,
იცოდეთ, დასდებთ ფიცს ერთგულების,
ჩვენი ალამი წითლად ფრიალებს,
არ გვეშინია ჩვენ ავსულების.

—

ამ მოედანზე ვერ დავეტევით,
ქუჩებს მუცლები გაებერება,
ერთ ოკეანეთ ღელვას ვეჩვევით,
კლდეს ჩვენი რისხვა დაეძგერება.

—

და დაიწურა ღამის წყვდიადი:
ჩვენი ლანდების მწყობრი რიგები,
აზვირთებული მძლავრი ნაკადი,
აგორებული მთებათ ზვირთები.

—

მიტინგი გახსნა ბელადმა გზაში,
და ტრიბუნაზე გავდა მეზღვაურს,
ხელს ვიკაკუნებდით მქექარე ხმაში
და ვწვავდით ცეცხლში ჩვენს სულის ტრაურს.

—

შურით ვთრევებოდით ყველანი ამდროს
„მაშ, წინ, წინ!“ ერთხმათ ბრბო იგრიალებს
ბრძოლის ხალისი ტყვიას წინ ასწრობს,
ამოუსისხლებს მებრძოლებს თვალებს.

—

აქარიშხალდა დღეს ჩვენი სული,
მიწას დაჰბერა ძლიერმა ქარმა,
ნისლიან ღამეს გაუსკდა გული,
შეტევა იწყო ჩვენების ჯარმა.

ო, ლამაზია დღეს ეს ხანძარი:
კუზიან მიწას მოელის დაწვა,
მხოლოთ ჩვენა ვართ მზის თანამგზავრი
ცეცხლი ეკიდოს მსოფლიო ნაგავს.

—

სიკვდილ-სიცოცხლის უსმინოთ დუეტს:
დღეს ბალეტია ცეცხლის ალების,
ბელადს მივართვათ ცეცხლის ბუკეტი,
ვერას დაგვაკლებს მტრების ძალები.

—

ხვალვე ქორწილი უნდა გავმართოთ
სეფა გავშალოთ ორ პოლიუსზე,
სეფიდან კიბე ცამდის ავმართოთ,
ქორწილს დაგვესწროს, ვთხოვოთ მეფე მზეს.

—

და სადღეგრძელოს დავლევთ ყველანი,
ახალ სამყაროს, ახალ დროებას,
რხევას დაიწყებს დედოფლის ტანი,
ყველა ვიქნებით თანასწორები.

—

საბედისწერო დუელს გადავრჩით:
ჩვენებს ახარებს ახალი ერა
ვინც ჩვენთანა ხართ, კვლავ ჩვენთან დარჩით,
მტერს დამარცხება კიდევ არ ჯერა.

—

ო, აბეონა, ნუ მოგვშორდები,
ბებერი მიწა ირჩენს ჭრილობებს,
ვინ უწყს რას მოგვცემს ჩვენ დროებები
კვლავ მიემატოს ევებ ჩვენს ობლებს.

—

შენ, ელეოსო, გახსოვდეს ქარი,
რომ შეიხორცა ალები ცეცხლის
იყოს ძლიერი და საშიშარი,
რომ ბებერ მიწას ჰკუაზე შეშლის.

—

დაჰბერე ქარო, შენ ცეცხლის ქარო,
და იზუზუნე საყვირის ხმებში,
ჩვენ კი აღარ გვწამს ხატი და ჯვარი
გამოვიწვიეთ ღმერთები ხმლებში.

—

დაჰბერე ქარო! ცეცხლის ალები
დე, გვინათებდეს ჩვენ გზას, წინსავალს,
შენ, აბეონა გვიჩვენე გზები,
ჩვენ კი დავძახებთ, ინტერნაციონალს.

სანდრო ეული.

ეკონომიური ცხოვრება

ამიერ-კავკასიის მატყლი და საბჭოთა რუსეთის საფეიქრო მრეწველობა.

საბჭოთა რუსეთის საფეიქრო მრეწველობა, უმთავრესად მოსკოვის საფაბრიკო რაიონი, მატყლის მწვავე კრიზისს განიცდის. ცენტრალურ და სამხრეთ რუსეთში მერინოვის ცხვრის ფარეის თითქმის სრული განადგურების შემდეგ საბჭოთა ფედერაციის საფეიქრო მრეწველობისათვის ნედლი მასალის ერთად-ერთ მიმწოდებელად რჩება ჩრდილოეთ კავკასია და ამიერ-კავკასია ამხ. „მატყლი“-ს ცნობით, მატყლის რაოდენობა, რომელიც შეიძლება დამზადდეს ამიერ-კავკასიაში, უდრის 150 ათას ფუთს. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ რ. ს. ფ. ს. რ. საფეიქრო მრეწველობას სჭირდება 1.300 ათას ფუთამდე, ევროპის და აზიის რუსეთს კი შეუძლია 1 მილიონი ფუთის მოცემა, ამ შემთხვევაში ამიერ-კავკასიის მატყლს შეუძლია ითამაშოს მნიშვნელოვანი როლი მოსკოვის რაიონის ფაბრიკების ნორმალურად მუშაობის საქმეში.

ქრონიკა

ამიერ-კავკასიის და საქართველოს ალმასკომის თავმჯდომარეს ამხ. მიხა ცხაკაიას.

დეპეშა სურამიდან

სურამის თემის უპარტიო გლეხთა კონფერენცია გესალმებათ და გიძღვნით გულითად სალამს, თქვენ რევოლიუციის ვეტერანო და დაუღალავო მებრძოლო მუშების და უღარიბესი გლეხების ძველო წინამძღოლო. ჩვენ ღრმად გვრწამს, რომ საბჭოთა მთავრობა და მისი ხელმძღვანელი კომუნისტური პარტია მედგრად სდგას მის მიერ ერთხელ არჩეულ სიმართლის გზაზე და არას დროს არ უღალატებს მუშების და უღარიბესი გლეხობის ინტერესებს. გაუმარჯოს სრულიად საქართველოს ალმასკომს. გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას, მოწინავე რაზმს მშრომელი კლასისას. გაუმარჯოს ერთობას, ძმობას და სოლიდარობას მშრომელ კლასთა შორის.

სახალხო კომისართა საბჭოში.

— **იუსტიციის სახალხო კომისარიატის შუამდგომლობა.** იუსტიციის სახალხო კომისარიატმა შუამდგომლობა აღძრა სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე, რათა იუსტიციის განყოფილებების პასუხისმგებელ გამგეების, სახალხო მოსამართლეთა, გამომძიებელთა და მბრალდებელთა თანამდებობის პირებზე გავრცელებულ იქნას პასუხისმგებელ მოსამსახურეთა ტარიფი.

— **იურიდიული კურსები.** სახალხო მსაჯულთა (მოსამართლეთა), გამომძიებელთა და ბრალდებელთა პირების კადრის შესაქმნელად იუსტიციის სახ. კომისარიატს განზრახული აქვს თბილისში გახსნას ოთხთვიანი იურიდიული კურსები 40 კურსანტისთვის, ამათგან 15 კაცი გაიგზავნება პროვინციაში. სათანადო ხარჯთაღრიცხვა და მოხსენება ამ კურსების შესახებ წარედგინა სახ. კომისარიატის საბჭოს—განსახილველად და დასამტკიცებლად.

— **სახელმწიფოს მნიშვნელობის გზები.** ზოგიერთ ადგილობრივ ალმასკომებს გადაცემული ჰქონდათ თავიანთ ხარჯზე შესანახათ ის გზები, რომელთაც აქვთ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ამ დაკისრებული საქმის გაკეთება ვერ შესძლებიათ, რადგან ამისთვის მათ არ აქვთ საჭირო ტეხნიკური აპარატი და ნივთიერი სახსარი, ამიტომ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭომ შუამდგომლობა აღძრა სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე, რათა ეს გზები ისევ უკანვე გადაეცეს სახელმწიფო შეიარაღების კომიტეტს და გაიღოს ამ გზების საჭიროებისთვის საჭირო თანხა.

— **საზომ—ხელსაწყობის შემოზიდვა.** სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭომ სახ. კომისართა საბჭოს წარუდგინა პროექტი—საქ. სოც. საბჭ. რესპუბლიკაში შემოსატან საზომ—ხელსაწყობის საგნებისა. აღნიშნულ საზომ—ხელსაწყობის შემოტანის პროექტის მიხედვით შეიძლება მხოლოდ უმაღლეს მეურნეობის საბჭოს ნებართვით, ყველა საბაჟოებს, შემოზიდული ხელსაწყობების პატრონისათვის მიცემის უფლება აქვთ, მხოლოდ ს. უ. მ. ს. გაცემულ ნებართვის შემდეგ.

შრომის კომისარიატში.

საკონფლიქტო განყოფილების მუშაობა იანვარში.

კონფლიქტების რაოდენობა. იანვარში საკონფლიქტო კომისიაში შემოვიდა 87 კონფლიქტი, დეკემბრიდან გადმოვიდა 28 კონფლიქტი, ასე რომ იანვრის განმავლობაში იყო 115 კონფლიქტი გასარჩევი. გარჩეულ იქნა 48 საქმე, უშედეგოთ დატოვებული იქნა 4 სხვა და სხვა დაწესებულებებს გადაეცა 3, 2 საქმე გარჩეული იქნა სამედიატორო სასამართლოში, 4—მომრიგებელ კამერაში. დანარჩენი პროცესშია.

— **დაწესებულებების მიხედვით.** სახელმწიფო დაწესებულებებიდან შემოვიდა 28 კონფლიქტი, სამეურნეო ხარჯზე გადაყვანილია დაწესებულებებიდან 23 და კერძო დაწესებულებებიდან—64.

— **კონფლიქტების მიზეზი.** კონფლიქტები აღმოცენებული იქნა უმთავრესად შემდეგ ნიადაგზე: 31 კონფლიქტი გამოდგა ხელფასის მიუცემლობის გამო, 9 უკანონოთ დათხოვნის გამო, დანარჩენი იყო სხვა და სხვა ხასიათის.

— **ვის სასარგებლოთ.** გარჩეულ კონფლიქტებიდან მუშების სასარგებლოთ გადაწყდა 37 კონფლიქტები. ნაწილობრივათ 4. დაწესებულებების სასარგებლოთ 7 კონფ.

— **კოლექტიური ხელშეკრულებები.** იანვრის განმავლობაში გატარებული იქნა 5 კოლლექტიური და 7 სატარიფო ხელშეკრულება.

— **სატარიფო საბჭო.** იანვრის განმავლობაში საბჭომ გამოარკვია რესპუბლიკის სახალხო კომისარიატების შტატი. საერთო რიცხვი უდრის 21243 კაცს. პირველ სატარიფო ზოლში ირიცხებიან 9809 მოსამსახურე. მეორეში—2231 და მესამეში—9109. საშუალო განაკვეთში ირიცხება 2773 კაცს.

— **კოლექტიური ხელშეკრულების დადება.** განყოფილებამ დასდვა კოლექტიური ხელშეკრულება ფოთისა და ჭიათურის მარგანეცის მტვირთავთა და საზ. „ჩემოს“ შორის რომლითაც საგრძნობლად უმჯობესდება მუშების მდგომარეობა.

— **საქ. განყ. ქვეგანყოფილებების სხდომები.** საკონფლიქტო განყოფილების ქვეგანყოფილებების გამგეობას ქონდა იანვარში სულ 3 სხდომა რომლებზედაც გარჩეული იქნა 34 საკითხი, აქედან საორგანიზაციო საკითხი 21 საინსტრუქტორო 13.

— **დამოკიდებულება პროვინციასთან.** ამავ ხნის განმავლობაში განყოფილების მიერ გაგზავნილი იქნა პროვინციებში ვრცელი ინსტრუქცია კოლექტიურ ხელშეკრულებათა რეგისტრაციის წესის შესახებ, აგრეთვე სარეგისტრაციო წიგნები და ბარათები. პროვინციებში გაგზავნილი იქნა ცირკულიარები კონფლიქტების გარჩევის წესის შესახებ.

დამზღვევ კასაში

— **საექიმო დახმარება უმუშევრებს.** დამზღვევ კასის პრეზიდიუმმა გადასწყვიტა ყველა დაზღვეულ უმუშევრებს და მათ ოჯახის წევრებს აღმოუჩინოს საექიმო დახმარება საერთო წესით. უმუშევრები, რომელნიც შრომის ბირჟაში გატარებული არიან, მაგრამ დაზღვეული კი არა, სულმოკლებული არიან საექიმო დახმარებას.

— **ავათმყოფობის დროს შრომის ხელფასის გამოანგარიშება.** ავათმყოფის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად თვიური ჯამაგირი იყოფა 24-ზე და მრავლდება სამუშაო დღის რიცხვზე.

— **დეკრეტების დადგენილებების გამოცემა.** დამზღვევ კასის პრეზიდიუმმა დაადგინა დაბეჭდოს დეკრეტები და დადგენილებანი სოციალურ დაზღვევის შესახებ რუსულ და ქართულ ენებზე 500 ეგზემპლიარის რაოდენობით.

კრებები და მოხსენებები

ხუთშაბათს 22 თებერვალს, საღამოს 7 ნახევარ საათზე რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოში დანიშნულია სხდომა ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოებისა. მომხსენებელნი არიან: 1) პროფ. მ. ასათიანი: ჰანსერის სიმპტომოკომპლექსის ფსიქიური მექანიზმები ისტერიის დროს; 2) ექ. გ. რუსიშვილი: Biermer-ის პერნიციოზული ანემია; 3) გამგეობის და კომისიის მოხსენება საზოგადოების წესდების ზოგიერთ მუხლის შეცვლის შესახებ.

სხვა და სხვა

— **პოლიტიკური მთავირი მართველობა.** პოლიტ-განათლების მთავარ მართველობასთან დაარსდა სამხატვრო კოლეგია, რომელშიდაც შედიან ამხ. ამხ. რაჟდენ კალაძე, სანდრო ქურიძე და იგნატოვი. კოლეგიის მიზანია უხელმძღვანელოს მხატვრულ-ლიტერატურულ მუშაობას საქართველოში: შეადგინოს თეატრებისათვის რევოლიუციონური რეპერტუარი, გამოსცეს პროლეტარულ მწერლების ნაწარმოებები და ჟურნალები და სხვა. კოლეგია სთხოვს ყველა იმ პირთ, რომელთაც მოეპოვებათ რევ. ნაწარმოებები მიაწოდონ ხსენებულ კოლეგიას განსახილველათ და გამოსაცემათ.

— **მძარცველების შაიკა.** ტფილისში გაჩნდა ბანდიტების შაიკა 8 კაცისაგან შემდგარი. ისინი შეიარაღებული არიან მაუზერებით და ღამით და დღით შედიან მოქალაქეთა ბინებში და თითქოს საქართველოს საგანგებო კომისიის სახელით ახდენენ თვითნებითი ჩხრეკას, ემუქრებიან მოქალაქეებს რევოლვერებით და წასვლისას მიაქვთ თან ყველა ძვირფასი საგნები, რომელსაც ჩხრეკის დროს აღმოაჩენენ. აფრთხილებს რა ამ შაიკის თავდასხმისაგან სისხლის სამართლის მილიცია წინადადებას აძლევს მოქალაქეთ არ შეუშვან თავის ბინაზე არავინ,ვინც გამოცხადდება საგანგებო კომისიის სახელით და არ წარმოადგენს სათანადო ორდერს, მოითხოვონ არსებული კანონის თანახმად მეზოვის ან სახლის პატრონის დასწრება ჩხრეკაზე. ზემო ნახსენები შაიკის თავდასხმის შემთხვევაში რაიმე საშუალებით შეატყობინეთ ამის შესახებ სისხლის სამართლის მილიციაში ან მახლობელ კომისარიატში. შაიკის გამოცნობისათვის საჭიროა აღნიშნა რომ ის შესდგება ქართველებისაგან.

— **ახალი წიგნები.** პოლიტიკურ განათლების მთავარ მმართველობამ გამოსცა შემდეგი წიგნები: 1) მოძრავი სამკითხველოების მუშაობა მშრომელ მასებში. 3) როგორ უნდა მოეწყოს და ამუშავდეს სოფლის კლუბი და სამკითხველო. 3) წიგნს დართული აქვს დებულება სოფლებში პოლიტ. განათლების კომისიების შესახებ, წესდება ქოხ-სამკითხველოებისა, სახალხო სახლების და მრავალი საყურადღებო ცნობები პოლიტ-განათლების შესახებ.

მუშათა ცხოვრება

იურიდიული დახმარება.

ამხ. მუშებს.

კითხვა: რას ეძახიან კოლექტიური ხელშეკრულებას?

პასუხი: კოლექტიური ხელშეკრულებას ეძახიან იმისთანა ურთი-ერთი შეთანხმებას, რომელსაც პროფკავშირი, როგორც მუშა-მოსამსახურეთა ინტერესების ჭეშმარიტი დამცველი და მათი ნებისყოფის ნამდვილ გამომხატველი და წარმომადგენელი, სდებს დამქირავებელ წარმოებათა, სახელმწიფო დაწესებულებათა და კერძო პირებთან იმ მიზნით, რათა არ ექნეს მუშა-მოსამსახურეთა შორის ადგილი არავითარ შრომის ექსპლოატაციას და მათი უმიზეზოდ სამსახურიდან დათხოვნას.

მასთან ერთად აღნიშნული ხელშეკრულება მკაფიოდ განმარტავს და ყოველ მხრივ განსაზღვრავს ყოველ გვარ შრომის და დაქირავების პირობებს, რომლის ფარგლებში უსათუოდ დამქირავებელ დაწესებულებათა და პირთა მიერ უნდა ხდებოდეს მუშა ხელის უტილიზაცია (სარგებლობა).

კითხვა: ვიზე ვრცელდება კოლექტიური ხელშეკრულების პირობები?

პასუხი: კოლექტიურ ხელშეკრულების პირობები ვრცელდება ამა თუ იმ წარმოების და დაწესებულების ყველა მუშა-მოსამსახურე, მიუხედავად იმისა, ითვლებოდენ, თუ არა, ეს უკანასკნელნი პროფკავშირის წევრებად ხელშეკრულების დადების დროს.

კითხვა: ვიზე არ ვრცელდება კოლექტიური ხელშეკრულების პირობები?

პასუხი: კოლექტიურ ხელშეკრულების დამდებთა შორის. მისი პირობები არ ვრცელდება მხოლოდ ადმინისტრაციის წარმომადგენლებზე, ვინაიდან მათ აქვთ მუშა-მოსამსახურეთა მიღება-დათხოვნის უფლება,

ს. პ. კ. ს. იურიდიული ბიურო.

როზა ლიუქსენბურგის სახელობის თამბაქოს ქარხანაში

მიმდინარე წლის ცხრამეტ თებერვალს აღნიშნულ თამბაქოს ქარხანაში ადგილობრივ ფაბკომის მიერ მოწვეულ იქნა მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება. კრებას დაესწრო სამასი მუშა-მოსამსახურე.

კრებაზე თავმჯდომარეობდა ფაბკომის პასუხისმგებელი მდივანი ამხ. ხოჯაპოროხოვი,—მდივნობდა ამხ. კასპაროვი.

დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხი:

საქართველოს გასაბჭოების ორი წლის თავის საზეიმო დღესასწაულის შესახებ.

აღნიშნულ საკითხის შესახებ ფართე მოხსენებას აკეთებს ამხ. ტაკოევი. მომხსენებელი ვრცლად აშუქებს საბჭოთა ხელისუფლების მოღვაწეობას კულტურულ, აღმშენებლობით და ეკონომიურ დარგებში. მასთან საბჭოთა ხელისუფლებამ შესძლო ამიერ-კავკასიის ერთაშორის მშვიდობიანობის და ძმურ-მეგობრულ განწყობილობის და ამხანაგური სოლიდარობის განმტკიცება. მან მოსპო ეროვნული შუღლი, მტრობა, და მათი ნაცვლად დაუდვა თავისუფალ შრომას მტკიცე საფუძველი ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ფედერატიულ კავშირის შექმნით. რკინის გზათა და ფულის ნიშნების გაერთიანებით მან ჩაუდგა მტკიცე საძირკველი ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიურ აღორძინებას დასიძლიერეს... ამ გვარად, მენშევიკების, მუსავატების და დაშნაკელებია მიერ განადგურებული, სასოფლო და სამოქალაქო მეურნეობა დაადგა აყვავების გზას... ყველა დარგს ეტყობა, წინმსვლელობა და წარმატება. გლეხობა გახდა მიწა-წყლის ბატონ-პატრონი, მუშები კი—ფაბრიკა-ქარხნებისა და სხვა...

მოხსენების ბოლოს ამხ. ტაკოევი მოუწოდებს კრებას, რათა იგი ღირსეულად შეხვდეს 25 თებერვალს, როგორც საბჭოთა ხელისუფლების დიად საზეიმო დღესასწაულს, კრება ტაშის ცემით ასაჩუქრებს ამხ. ტაკოევს. მისი მოხსენების გამო გამოტანილ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: „მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ. ტაკოევისა საქართველოს გასაბჭოების ორი წლის თავის დღესასწაულის შესახებ, ჩვენ, როზა ლიუქსენბურგის სახელობის ქარხნის მეთამბაქოე მუშა-მოსამსახურენი ერთხმად მივესალმებით ამ დიად და მუშათა მასისათვის ძვირფასს დღეს, რომელიც არის სიმბოლო მუშათა კლასის სამუდამოდ განთავისუფლებისა მენშევიკების, დაშნაკელების და მუსავატელების ბარბაროსულ ძალადობისა, და ბატონობისაგან და გამოსთქვამთ რა ჩვენი გულისწყრომას და ღრმა პროტესტს ყველა მსოფლიო ექსპლოატატორებ-მოძალადეებისადმი, ფიცსა ვსდებთ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დავიცვათ ჩვენი წითელი სამშობლო შინაურ და გარეგან მტერთაგან და ვიქნეთ მუდამ ფხიზლად რევოლიუციონურ სადარაჯოზე მუშათა კლასის ინტერესების დასაცავად“.

ამის შემდეგ კრება იხურება ინტერნაციონალის სიმღერით.

ინფორ.—კორ. მუშა-მუკო.

აუტანელი მდგომარეობა

(პროფკავშირის საყურადღებოდ!).

ამა წლის 3 იანვარს შტატის შემცირების სახით უმაღლესს სამეურნეო საბჭოს ცენტრალურ გარაჟიდან გაგვისტუმრეს რამოდენიმე მუშები. მიუხედავად იმისა, რომ ზამთრის შუაგულში ყოველივე სახსარს მოკლებულნი ჩვენ სამსახურის გარედ ვრჩებოდით, ჩვენ მაინც ურიგდებოდით ამ უბედურებას, რადგანაც ამ ბოლო ხანებში წარმოებამ იკლო ყოველ მხრივ საგრძნობლად, რის გამო არსებული შტატის შენახვა შეუძლებელი ხდებოდა. ჩვენ შტატ გარეშე დარჩენილები, მოვითხოვდით ადმინისტრაციისგან მხოლოდ სალიკვიდაციო ჯილდოს არსებულ კანონების ძალით და იმ ზედმეტ საათის მუშაობის ხელფასს, რომელსაც ვეწეოდით ჩვენ თითქმის ერთი წლის განმავლობაში და რომლის საფასური დღესაც არა გვაქვს მიღებული.

სამსახურში ყოფნის დროს ადმინისტრაცია ასე თუ ისე გვიწევდა ცოტაოდენ ანგარიშს და დღეს-ხვალობით გვპირდებოდა ზედმეტი საათის მუშაობის ხელფასის გაცემას, მაგრამ, როდესაც შტატის შემცირების გამო ჩვენ ქუჩაში მოვხვდით, ადმინისტრაციამ ტონი სრულებით გამოიცვალა და საგანზე ჩვენთან უბრალო საუბარსაც არ კადრულობს...

ამის გამო ჩვენ იძულებული გავხდით მივვმართოთ სათანადო განცხადებით პროფკავშირისათვის. ამ უკანასკნელმა ადმინისტრაციას დაავალა, რათა მას დაუყოვნებლივ მოეცა ჩვენთვის „ჩვენი ნაფლარი“. მაგრამ ადმინისტრაციამ პროფკავშირის დადგენილების პასუხად გადმოგვიგდო რაღაც „გროშ-კოპეიკები“ სალიკვიდაციო ჯილდოს სახით დეკემბრისათვის და არა იანვრის სატარიფო განაკვეთით და ისიც იანვრის ოცში.

ამ ბოლო დრომდე ცენტრ.-სატრ.-მომარ. განყოფილების „ცენტრამოტ“-ის) კოლეგიის წევრი ამხ. ქილაძე გვარონიებდა მასთან ყოველ დღე სრულიად უნაყოფოდ. ხოლო ჩვენდა საუბედუროდ, ეს ამხანაგიც გაგვიგულისდა და მის ყოფილ მუშებს ახლოსაც არ გვიკარებს და ამ ჟამად ისე „გაამაყდა“, რომ ჩვენთან ლაპარაკსაც არ ჰკადრულობს.

რა ვქნათ და ვის მივმართოთ ჩვენი უფლების და კანონიერ მოთხოვნილებების დასაცავად არ ვიცით და ყოველივე არსებობის სახსარს მოკლებულნი სასოწარკვეთილებაში ვიმყოფებით.

ჯერჯერობით სამსახური ვერსად ვერ გვიპოვნია და იმედიც არა გვაქვს, რომ სამ-ოთხ თვეში სადმე სამსახურში მოვხვდებით.

ჩვენი მდგომარეობა აუტანელია და ამიტომ მოვითხოვთ, ვისგანაც ჯერ არს, ჩვენი კანონიერ მოთხოვნილების და ინტერესების დაცვას.

ცენტრო-გარაჟის ყოფ. მუშა

მ. ლიშვილი.

კულტურული მუშაობა ხარფუხის საჩვენებელ სახელოსნო „განთიად“-ში.

ამ სახელოსნოში მუშაობს სულ 33 ქალი, რომელთა შორის 15—იქვე, ამავე შენობაში, სცხოვრობს. სახელოსნოს გამგეს—მაჩაბლისას თავიდანვე ჰქონოდა განზრახული, რათა აქ მომუშავე ქალები უსწავლელი არ დარჩენილიყვნენ, რის გამო წერა-კითხვის არ მცოდნე აქ სრულებით არ არის. პირიქით, ერთი მოზრდილი ჯგუფი ქალებისა ემზადება კიდევაც შრომის სკოლის მოწმობის ექსტერნად მიღებისათვის.

2) ვინაიდან სხვა და სხვა სურათებიან ნოხების ქსოვისათვის საჭიროა მხატვრული ნიჭის განვითარება, ამ მიზნით სახელოსნოში მოწვეულია გამოცდილი მხატვარი, რომლის ხელმძღვანელობით მუშა-ქალები სწავლობენ ხატვას და კიდეც დახატული აქვთ მშვენიერი სურათები.

3) პოლიტიკურ განვითარებისათვის ადგილკომის მეცადინეობით კოლექტიური ხელის მოწერით მუშა ქალები ღებულობენ—27 ცალ გაზეთს, რაც 33 მუშისათვის შეიძლება „რეკორდად“ ჩაითვალოს.

დრო გამოშვებით ადგილკომი აქ მართავს საზოგადო კრებებს, სადაც კეთდება სხვა და სხვა მოხსენებები.

უკანასკნელ საზოგადო კრებაზე აქაურ მუშა-ქალებმა დაადგინეს, და კიდევაც თვისი დადგენილება განახორციელეს.—იმუშავეს ერთს კვირა დღეს 8 საათის განმავლობაში და თვის ამ დღის ხელფასი შესწირეს წითელ ფლოტს. ადგილკომისვე მეცადინეობით ახლო მომავალში ჩარიცხულ იქნებიან მახლობელ სამუსულმანო სკოლაში აქ მომუშავე ორი ახალგაზრდა, ახლოხანებში მიღებული მუშა, ტომით სპარსელები.

ინფ. კორ. მუშა მერ.

ხელოვნება

— **სახელმწიფო ოპერა.** დღეს პირველი ბალეტის წარმოდგენა „კოპელია“ მონ. მთელი დასი.

— **ქართული მუსიკის საღამო.** ორი თვე არის, რაც დაარსდა ქართველ ახალგაზრდა მუსიკოსთა საზოგადოება, რომლის უმთავრეს მიზანს, სხვათა შორის, შეადგენს ქართული ჰანგების შეკრება-დამუშავება და პროპაგანდა ქართული მუსიკისა. მან ამ ცოტა ხანში უკვე შექმნა საკუთარი სიმებიანი ორკესტრი და შერეული მომღერალთა გუნდი. მოკლე ხანში იმართება საზოგადოების პირველი კონცერტი, რომელიც მით უფრო საყურადღებოა, რომ შესდგება მხოლოდ ქართული მუსიკისაგან. კონცერტზე მონაწილეობას მიიღებენ ქართველ მუსიკოს-მომღერალთა საუკეთესო ძალები.

— **ტერ-დანიელიანის კონცერტი.** დღეს, 22 თებერვალს, სახელმწიფო 1-ლ კონსერვატორიაში შესდგება მეოთხე კონცერტი ტერ-დანილიანის. პროგრამაში შედის ჩაიკოვსკი, კორსაკოვი, რახმანინოვი და ვასილენკო. მონაწილეობს კ. ა. ალენევოი.

— **მ. ე. გაბაევის იუბილე.** 1-ლი სახელმწიფო კონსერვატორიის უფროს ხელმძღვანელს და მუსიკის მასწავლებელს მ. ე. გაბაევს, მისი 45 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავად სამუსიკო ასპარეზზე, კონსერვატორიის გამგეობა უმართავს იუბილეს. რომელიც შესდგება კვირას, 11 მარტს.

დღეს თეატრებში.

სახელმწიფო ოპერა—პირველი საბალეტო წარმოდგენა „კოპელია“ მოისეევის ახალი დადგმით. რუსთაველის თეატრი—„სალომეი“ მესამეთ. სახალხო სახლი—გლაგოლინის და ვალერსკის გასტროლი. საბჭოთა თეატრი—ქართული წარმოდგენა. პროფესიონალურ კავშირების კლუბი—ზუნდელევიდის ლექცია. 1 სახ. კონსერვატორია—ტერ-დანელიანის კონცერტი. კინო-მინიონი—„სიკვდილის აზრი“. კინო-არფასტო—არსენა ჯორჯიაშვილი. კინო-სოლეილი—„მოლჩი გრუსტ, მოლჩი“ პოლონსკის, მაქსიმოვის და სხ. მონაწილეობით. კინო-პალას—„კბილი კბილის წილ“. კინო სარკიანი „ჟუნგლების საიდუმლოება“.

პროფკავშირებში

განათლების მუშაკთა კავშირები.

განათლების მუშაკთა კავშირის საორგანიზაციო განყოფილებამ მოახდინა რაიონულ ადგილკომების შემჭიდრება. ასე მაგალითად 13 რაიონ. ადგილკომის მაგივრად დღეს არის 9 რაიონ ადგილკომი. იანვრის განმავლობაში განყოფილებას ჰქონდა 9 გაერთიანებული კრება, მოხდა არჩევნები ყველა ადგილკომებში. ამავე თვეში მოეწყო სრულიად საქართველოს განათლების მუშაკთა მეორე ყრილობა.

— სატარიფო ეკონომიურმა განყოფილებამ იანვარში დაათვალიერა ხელსაქმის და პროფესიონალურ სკოლები და აღნუსხა კვალიფიციურ მასწავლებელთა რიცხვი და გამოარკვია მათი მუშაობის ხელფასის რაოდენობა.

აღნიშნულ ტიპის სკოლების მასწავლებელნი გასამრჯელოს იღებდნენ 5—9 კატეგორიის მიხედვით, მაშინ როდესაც მათ შორის ბევრი სპეციალურ სწავლა-მომზადებით არის აღჭურვილი. ამის გამო სატარიფო-ეკ. განყოფილებამ საჭიროდ სცნო მათი 8—12 კატეგორიებში მოქცევა.

— შრომის დაცვის განყოფილებამ გასულ თვეში უმთავრესი ყურადღება მიაქცია საბინაო კრიზისს და ცდილობდა თავის წევრთა შორის ეს გარემოება შეძლებისდაგვარად მოეწესრიგებინა. უმუშევართა რიცხვი იანვარში იყო 295 (ქალები) და 118 (22 კაცი) განყოფილებამ დამზღვევ კასის საშუალებით ბევრი უმუშევართა თხოვნა, დახმარების შესახებ, დააკმაყოფილა. საკონფლიქტო საკითხი იყო 3. ყველა საკითხები გარჩეულ იქნა.

— კულტურულ განყოფილების მუშაობა სწარმოებდა განათლების მუშაკთა სახლის შემუშავებულ პროგრამაზე, განზრახულია განათლების მუშაკთა სახლის მუშაობა გაცხოველებულ იქნას ყველა რაიონებში და ამ რიგად კულტურულ განმანათლებელ მუშაობაში ჩაებას მთელი კავშირის მასსა. გამომუშავდა პროგრამა კულტ. განყოფილების შემდეგ მოღვაწეობისათვის. იანვრის განმავლობაში კულტ. განყოფილებამ წევრების შორის გაანაწილა თეატრის 400 უფასო ბილეთები გამოწერილ იქნა სხვა და სხვა გაზეთები—20 ცალი. სამკითხველო, რომელიც არსებობს განათლების მუშაკთა სახლში გაფართოვებულია და წიგნებით სარგებლობენ ბევრი პირნი.

მელითონეთა კავშირში.

მელითონეთა კავშირის კულტ. განყოფილების მუშაობა იანვარში გამოიხატა შემდეგში: წერა-კითხვის უცოდინართა რიცხვი აღრიცხული

იყო 88 კაცი. მათ შორის სკოლებში სწავლობენ—36. სკოლები იანვარში არსებობდნენ. 1 მელითონეთა საწარმოო ქარხანაში, 2—არსენალში. პირველ რიგის მოწაფეებმა სწავლა დაამთავრეს, იანვარში 20 კაცმა. ახლო მომავალში საქარხნო-სახელოსნო მოწაფეთათვის გაიხსნება სკოლა არსენალში მუსიკალურ სკოლაში გაიგზავნა—10 კაცი. შრომის სკოლაში ადგილკომების მიერ გაგზავნილია 300 ბალღი (კავშირის წევრების შვილები არიან ყველა). გაიხსნა აგრეთვე ტეხნიკურ უცოდინართა სკოლა ავტო-სახელოსნოსთან № 3. საბავშვო სახლში № 7 ამჟამად არის 26 ბავშვი აქვე გახსნილია სადურგლო სახელოსნო. ეწყობა ახალი კლუბი არსენალის მუშებისათვის ყოფილ შენობაში „რომბოსი“, გაზეთები გამოწერილია ქალაქის მასშტაბით 500 ცალი. კულტ. კონფერენცია იანვარში იყო—2. ბათუმის განყოფილების კულტურულ დარგში კარგად აქვს დაყენებული საქმე. წერაკითხვის უცოდინართა წევრთა რიცხვი შესამჩნევად შემცირებულია. გახსნილია კლუბი. კლუბებთან არსებობს დრამატიული წრეები, გუნდები, სამკითხველოები და წიგნთ-საცავეები.

ბიბლიოგრაფია

ჩვენი სკოლა

ახალი სახელმძღვანელო „**ჩვენი სკოლა**“, შედგენილი თ. კიკვაძისა, გ. ჭუმბურიძისა და ფ. მგელაძის მიერ შრომის სკოლის მე-2 განყოფილების მოწაფეთათვის, შეადგენს ახალს განძს ჩვენს პედაგოგიურ ლიტერატურაში: სასწავლო მასალა, მცირედი გამონაკლისით, აღებულია ქართველი ხალხის ცხოვრებიდან და დალაგებულია წიგნში წელიწადის დროთა მიხედვით, შემოდგომით დაწყებული. წიგნი შეიცავს 77 მოთხრობას, 16 ლექსს და 3 ზღაპარს. ბოლოში დაერთვის პატარა ლექსიკონი და სარჩევი. სასწავლო მასალის ტექსტი დასურათებულია საუცხოოდ შესრულებულია 64 უბრალო და 9 ფერადი სურათით. წერითი ვარჯიშობისათვის მოცემულია 4 ფერადივე სურათი. მთელი სასწავლო მასალა, როგორც თავისი მხატვრული ღირსებით, აგრეთვე ენის სიმარტივით და მიმზიდველის შინაარსით, ორი-სამი მოთხრობის გამოკლებით, უნდა ჩაითვალოს მიზანშეწონილად ამ წლის მოწაფეთათვის. ერთი სიტყვით, ავტორებს არაფერი დაუზოგავთ ეს სახელმძღვანელო აეგოთ ახალსა და საღ პედაგოგიურ პრინციპებზე, რაშიაც კარგი შედეგები მიუღიათ. ამიტომ ეს წიგნი, როგორც ასეთი, უნდა იქნეს მიღებული ერთ-ერთ საუკეთესო სახელმძღვანელოდ ჩვენს სკოლებში.

საჭიროა შემდეგ გამოცემაში მეტი ადგილი დაეთმოს მასალას ხალხური პოეზიიდან.

ა. ოდიშარია.

პროვინციაში

პოლიტიკური განათლების განყოფილების მუშაობა სიღნაღში.

სიღნაღის სამაზრო პოლიტ-განათლების მუშაობა თვალსაჩინოთ გაძლიერდა წარსულ წლის დამლევისათვის. ენერგიული და მტკიცე ზომების მიღების შემდეგ, ყველა პარტ-ორგანოების დახმარებით შესძლო პოლიტ-განათლების მთავარ მმართველობამ მუშაობის ნორმალურათ წარმოება.

პირველ იანვრისთვის 23 წ. ყველა თემების პოლიტ განათლების მუშაობა უკვე გამოცოცხლდა და მჭიდროთ დაუკავშირდა მათ ინსტრუქტორების საშუალებით. მიუხედავათ იმისა, რომ წარსულ წელს მცირე თანამშრომელთა შტატი იყო, მაინც შესაძლო ადგილობრივ მშრომელ მასის პოლიტ-განათლ. საქმეში ჩარევა და მასთან შეთანხმებით მუშაობა.

ამ ჟამად პოლიტ-განათლების ხელმძღვანელობით სწარმოებს 31 თემის პოლიტ-განათლებები, რომელშიც არის 18 ქოხ-სამკითხველო, 5 ბიბლიოთეკა, 12 წერ. კით. უც. სალიკ. სკოლები, 5 მუშათა და წითელ არმიელთა კლუბი, I სახალხო სახლი, 25 კულტ-განათლების კომისია, 5 პოლიტ-წრე და I კინო-თეატრი.

თუ სიღნაღის პოლიტ-განათლების მმართველობამ იმ მინიმალური თანამშრომელთა შტატის საშუალებით შესძლო აღნიშნულ დაწესებულებების ორგანიზაცია და ამუშავება, იმედია ამ წელში მომატებულ შტატის საშუალე ით შესძლებს პოლიტ-განათლების გაფართოებას და ცენტრიდან მასზე დაკისრებულ გეგმის ცხოვრებაში გატარებას.

წერილი რედაქციის მიმართ

ამხანაგო რედაქტორო!

გთხოვთ გამოაცხადოთ თქვენ გაზეთში, რომ მე ვიმყოფებოდი მენშევიკების პარტიაში 1910 წლიდან.

ეხლა მას თავს ვანებებ და ვრჩები უპარტიოთ.

იოსები ბახტაძე.

1923 წ. 21 თებერვალი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 80.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი. სამოქალაქო საქმეთათვის სასამართლო ხარჯების გამო საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტის მიერ 1922 წლ. იანვრის 31-ს თარიღითა და 134 №-ით გამოცემული დადგენილების მე-8 მუხლის გაუქმების შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის მიერ 1922 წლ. იანვრის 31-ს თარიღითა და 134 №-ით გამოცემული დადგენილების მე-8 მუხლი სახელმწიფო დაწესებულებათა და მუშათა გაერთიანებული კოოპერატივის სასამართლო ბაჟისა და სალერბო გადასახადისაგან განთავისუფლების შესახებ გაუქმებულ იქნეს.

2. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოცხადებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
 შ. ელიავა.

იუსტიციის სახალხო კომისარი
ვარძიელი.

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი
ალ. სალარიძე.

1923 წ. თებერვალი 15.

ტფილისი—სას ხლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— მე-4 რაიკომში 22 თებერვალს დღის 1 საათზე მართავს თათბირს წითელი არმიის 5 წლის თავის და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 2 წლის თავის დღესასწაულის ჩატარების წესის შესახებ. იაჩეიკების ყველა მდივნებს და იმ ცალკე ს მხედრო ნაწილების წარმომადგენელთ, რომელიც დაბანაკებული არიან მე-4 რაიონში, წინადადება ეძლევა აღნიშნულ დროზე გამოცხადდენ რაიკომში.

საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე არუსტანოვი.

— საქართველოს კომპარტიის მე-4-ე რაიკომი წინადადებას აძლევს ყველა დაწესებულებებს და წარმოებებს, რომელნიც მდებარეობენ მე-4 რაიონში შემოიტანონ „წითელი ფლოტის“ სასარგებლოდ შეგროვილი პროცენტული გადარიცხვა შემდეგი მისამართით: რუსთაველის პროსპექტი № 20.

—საქართველოს კომპარტიის მე-4 რაიკომი ამხ. ალავერდოვთან

რაიკომის პასუხისმგებელი მდივანი
არუსტანოვი.

პროფესიონალური.

— ის პირები, რომელთაც შემოტანილი აქვთ განცხადებები განათლების მუშაკთა კავშირში და ბეჭდვითი საქმის მუშაკთა სექციაში ჩარიცხვის შესახებ, უნდა გამოცხადდენ ხუთშაბათს 22 თებერვალს, საღამოს 5 საათზე განათლების მუშაკთა კავშირის შენობაში (მუშათა სასახლე, მესამე სართული, ოთახი № 36), სადაც ხუთშაბათობით სწარმოებს ახალი წევრების მიღება.

განცხადებები

რუსთაველის
თეატრი

დღეს 22 თებერვალს

სალომეი

— როდამ —

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

კრ. 206—1—1

სახელმწიფო
ოპერა

დღეს, 22 თებერვალს,

კოპელია

დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათზე.

კრ. 199—1—1

ტირაჟი 10,000 ნ. ს. დ. უ.

მიწად-მოწყობის და საძოვარი ადგილების განყოფილება ამით აცხადებს,

რომ მიწად-მოქმედების სახალხო კომისრის 15 თებერვლის განკარგულების თანახმად, ის საქონლის მეპატრონეები,

რომელნიც არ გადაიხდიან 1 მარტამდე

საქართველოს საზაფხულო საძოვარი ადგილებით 1922 წელში და საზამთრო საძოვარი ადგილებით 1922—23 წელში სარგებლობისათვის დაწესებულ გადასახადს, დაჯარიმებული იქნებიან 1 მარტიდან 1 მაისამდე ორმაგი გადასახადით, სახელდობრ: საზაფხულო საძოვარი ადგილების დესიატინაზე: 1 კატეგორიაზე 150,000 მან., მე-2—100,000 მან., და მე-3—60,000 მ. და საზამთრო საძოვარი ადგილების დესიატინაზე: 1 კატეგორიაზე 120,000 მ., მე-2—90,000 და მე-3—60,000 მ. პირველი მარტის შემდეგ არავითარი შუამდგომლობა საიჯარო გადასახადის შემცირების შესახებ არ იქნება მიღებული.

კრ. 208. 1—1.

ყველა მოქალაქეთა საყურადღებოთ

ქალაქის განყოფილების მუშათა და გლეხთა ინსპექციის სარევიზიო კომისია ა. წ. 20 თებერვლიდან შეუდგა აღმასკომის: 1) სადარაბო სექციის, 2) საბინაო განყოფილების და 3) საბჭოთა სამმართველოს რევიზიას. ვთხოვთ ყველა მოქალაქეთ, რომლებსაც აქვთ რაიმე ცნობები ზემოხსენებულ განყოფილებებში მომხდარ ბოროტ-მოქმედების შესახებ, ერთი კვირის განმავლობაში აცნობონ სარევიზიო კომისიას. კომისია ღებულობს განცხადებებს ყოველ დღე, გარდა უქმისა, დილის 12 საათ. 2 ს-მდე, აღმასკომის შენობაში, ოთახი № 18.

კრ. 212 3—1 **სარევიზიო კომისია.**

აღმასკომის წყალსადენის განყოფილება

აცნობებს ყველა აბონენტებს, რომ საზღვარ-გარეთიდან ამ დღეებში მიღებული იქნება ახალი წყალსაზომები. ვისაც სურს მათი შეძენა, უნდა შემოიტანოს სათანადო განცხადება განყოფილებაში. უპირატესობა მიეცემა იმ აბონენტებს, რომლებთაც აქვთ სახლში დიდი ხარჯი, ან რაიმე მირითადი ცვლილება. წყალსაზომების ნიხრი იქნება შემუშავებული ოქროს მანეთზე და გამოცხადებული.

კომუნალური მეურნეობის თავმჯდომარე: **ს. ელენტი.**
წყალსადენის დირექტორი ინჟენერი: **დიასამიძე.**

კრ. 210 1—1

სამოქალაქო გადასახადის გამტარებელ

კომის' ისგან

თანახმად ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის საქართველოს რწმუნებულის მოწერილობისა ა. წ. 20 თებერვლის თარიღით № 518 სამოქალაქო გადასახადის გამტარებელი კომისია, ამით აცხადებს, რომ 21 თებერვლიდან, სამოქალაქო გადასახადის გადამხდელთათვის, ოქროს მანეთის კურსათ მიღებულია 500,000 მან. ამიერ-კავკასიის და საქართველოს ბონებით. ამის მიხედვით ის პირნი, რომელთაც დღემდე არ შემოუტანიათ სამოქალაქო გადასახადი იხდიან პირველ მარტამდე ორმაგ გადასახადს ე. ი.

50 კაპ.	გადამხდელები	500000	მან.	ბონებით
1 მან.	„	1000000	„	„
1 მან. 50 კ.	„	1500000	„	„
3 მან.	„	3000000	„	„

სამოქალ. გადასახადი გამტარებელი კომისია.

კრ. 211—1—1

დღეს, 22 თებერვალს,

შუადღის სრულ 12 საათზე,

ახალ შენობაში

სოლოლაკის ქუჩა

№ 7

მოხდება

საფონდო-საქონლის ბირჟის

ოფიციალურ' გახსნა

გახსნის შემდეგ ბირჟა დაუყოვნებლივ დაიწყებს ოპერაციების წარმოებას.

ბირჟის კომიტეტი.

კრ. 204—2—2

იყიდება კარგათ მორთული

სახლი

თავისუფალი ბინებით. ვისაც სურს ხელსაყრელად იყიდოს და გაყიდოს, უნდა მიმართოს მამა-დავითის ქუჩაზე № 3, ბინა 2, 11—2 და 5—7 საათამდე.

(141—3—3)

=რ. ს. ფ. ს. რ.=

სახელმწიფო ბანკის ტფილისის კანტორა

აწარმოებს

შეღავათიან პირობებში

საფოსტო-სატელეგრაფო

გადაგზავნას

=ოქროს ფულით=

(სახელმწიფო ბანკის საბანკო ბილეთებში)

ყველა ქალაქებში, სადაც მოიპოება სახელმწიფო ბანკის დაწესებულებები.

რ. ს. ფ. ს. რ. სახელმწიფო ბანკის ტფილისის კანტორა.

კრ. 209 3—1

საფონდო-საქონლის ბირჟის ოფიციალურ გახსნაზე

1923 წელს 22 თებერვალს, დღის 12 საათზე

მიწვეული არიან

მთავრობის დაწესებულების—სახალხო კომისარიატების, სახელმწიფო ორგანოების, სახელმწიფო სამეურნეო ორგანოების, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციების, ყველა სავაჭრო წარმომადგენლობების და მისიების წარმომადგენლები.

ბირჟის კომიტეტი.

კრ. 204 2—2

საქართველოს ტექნიკური ნაწარმ [illegible]
ნელი ბიურო

სატსამბო

მთავარი სამმართველო: თფილისი, თავისუფლების მოედანი № ტელ. 3—26 დეპეშის მისამართი—თფილისი, „სატსამბო“, განყოფილებანი: ბერლინში, ბუხარაში, ახალ-სენაკში.

ყველაფერი

ელექტროფიკაციისათვის

ელექტრონის დანადგარები, ტეხნიკური მოწყობილებანი, ჰიდრავლიური სამუშაოები.

საწყობებში მუდმივად არის ყოველგვარი ელექტრ. და ტეხნიკურ მასალების დიდი რაოდენობა.

კრ. 682—0—

დოკტორი მედიცინისა ბერლინის უნივერსიტეტის

გ. მეგრაბიანცი

შინაგანი ავადმყ. ფილტვების—ჰლექი და გულის—სპეციალური წამ მალარიისა შეშხაპუნება 914 რენტგენის სინათლის—ელექტრონის წამლ კაბინეთი.

იღებს 9—12 საათ.—დღის და 5—7 ს. საღ.

ბებუთოვის ქუჩა № 23. (684—25—

ელექტრონის და სინათლის

სამკურნალო

საწოლებით **რენტგენი დ'არსონვალი**

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ მეთოდ ექიმობას საჭიროებენ.

საავადმყოფო სწარმოებს **ექ. სვიმონ ყიფშიძის** ხელ ნელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20. (733—25—

მე-2 საკონსულტაციო-საექიმო კაბინეტი
მედიცინის დოქტორის

ვ. ვ. შენგელიძესი და ექიმი ვ. გ. მეუნარგია

მიიღებიან ბავშვები **ყოველგვარი რჩევა-დარიგებისათვის.**

ყოველ დღე გარდა უქმეებისა საღამოს 5—6 საათამდე ბელინ № 22 ტელეფ. 1—44. (77—25—19)

ქ. ტფილისის მე-10 რაიონის სახ. მოსამართ

(ტურგენევის ქუჩა № 4) იწვევს შევკიატ-ხანუმ ნახიჩევანსკის სიკვ შემდეგ დარჩენილ ქონების მემკვიდრეებს ამ განცხადების შემდე თვის ვადაში თავისი უფლებების გამოცხადებისათვის.

(163—1—1)

დაიკარგა პასპორტი ანნა ანდრონოვას სახელზე გაცემულ თვალოს გაუქმებულათ. (162-2-

დაიკარგა ალექსანდრე ტერენტის ძე შიროკოვის სახელ წლის 23 ივნისს გაცემული მოწმობა № 1708 თვალოს გაუქმებულათ. (158—1-

დაიკარგა სამოქალაქო მდგომარეობის ჩამწერ განყოფ მიერ მამედ ალი აბას ოღლის სახელზე გა მოწმობა, ჩაითვალოს გაუქმებულათ. (156—

დაიკარგა სამოქალაქო მდგომარეობის ჩამწერ განყოფ მიერ ასკერა აბას ოღლის სახელზე გაცემულ მობა, ჩაითვალოს გაუქმებულათ. (155—1-

დაიკარგა პეტრე მაისურაძის სახელზე გაცემული პას ჩაითვალოს გაუქმებულათ. (157—1-

დაიკარგა ჯიბიდან საფულე, რომელშიაც მქონდა სა ბილეთი და სურათი, პირადობის მოწმობები მული რკინის გზის საპენსიო კასსიდან, პასპორტი, საავადმყოფო ბი და სხვა საბუთები ანასტასია ჩირიკაშვილის სახელზე. ჩაითვალოს ბულათ. (159-

დაიკარგა კავშირის წიგნაკი № 359 აიკანუშ მელიქ ხელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. (160-

დაიკარგა საბჭოთა მუშაკების კავშირის წიგნაკი დავი ზოვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. (161-

---

ამიერ-კავკასიის რკინის გზების

გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ, მოეწყო რა შრომის და თავდაცვის საბჭოს 31 მაისის დადგენილების და საკავშირო საბჭოს 1922 წლის 14 სექტემბრის დადგენილების საფუძველზე, დაიწყო თავისი მოქმედება.

გამგეობის შემადგენლობა:

თავმჯდომარე—**პოზდეევი მ. პ.**

თავმჯდომარის მოადგილე—**ლევაშოვი ა. მ.**

გამგეობის წევრები: **ტერ-მიქაელიანი ლ. ა., თუმანოვი გ. პ., მელიქ-ასლანოვი ხ. ბ., ერქომაიშვილი ა. მ.**

ყველა კომერციულ და სამეურნეო ხასიათის საკითხების შესახებ მიმართეთ ამიერ-კავკასიის რკ. გზების გამგეობას, რომლის მისამართია: თბილისი, ვოკზალის ქუჩა, ს. № 1.

ტელეფონი: თავმჯდომარ. 1—27;
თავმჯდომარის მოადგ. 1—29;
საერთო 4—68.

1—1

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პოლიგრაფიულ განყოფილების მე-2 სტამბა კრუზენშტერნის ქ. № 4